

განსჯადობა

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
ადმინისტრაციულ საქმეებზე
2015, №9

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Administrative Cases
(in Georgian)
2015, №9

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Verwaltungssachen
(in der georgischen Sprache)
2015, №9

Решения Верховного Суда Грузии
по административным делам
(на грузинском языке)
2015, №9

გადაწყვეტილებების შერჩევასა
და დამუშავებაზე პასუხისმგებელი **ლიანა ლომიძე**

ტექნიკური რედაქტორი **მარიკა მაღალაშვილი**

რედაქციის მისამართი: 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების
ქ. №32, ტელ: 298-21-03; www.supremecourt.ge

**ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო
სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით**

1. ადმინისტრაციული განსჯადობა

ბანჩინება

№ბს-499-488(გ-14)

20 ნოემბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

2014 წლის 4 სექტემბერს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე ააიპ „...“ მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2013 წლის 31 მაისს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსა და ააიპ „...“ შორის გაფორმდა მემორანდუმი – შეთანხმება თანამშრომლობის შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა დევნილთათვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობის, ინფრასტრუქტურული პროექტებისა და დევნილთა დასაქმების მიზნის განხორციელებისათვის ხელშეწყობას. შეთანხმების თანახმად, მხარეებს უნდა უზრუნველყოთ ფინანსური რესურსების მოზიდვა აღნიშნული პროგრამების დასაფინანსებლად. 2013 წლის 10 ივლისს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსა და ააიპ „...“ შორის გაფორმდა გრანტის ხელშეკრულება, რომლის ძალით გრანტის გამცემმა იკისრა ვალდებულება გრანტის მიმღებისათვის გრანტის სახით გადაეცა 270 915 000 ლარი სამ ეტაპად, თითოეულ ეტაპზე 90 305 000 ლარის ოდენობით. 2013 წლის 7 ოქტომბერს ხელშეკრულების 1.1 პუნქტში შევიდა ცვლილება საგრანტო თანხის გაზრდასთან დაკავშირებით და საგრანტო თანხა განისაზღვრა 487 500 000 ლარით. ხელშეკრულების 1.2 პუნქტის თანახმად, გრანტის თანხა გამოყენებული უნდა ყოფილიყო მხოლოდ დევნილთათვის საცხოვ-

რებელი სახლებისა და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურული პროექტების მშენებლობისათვის.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს შუამდგომლობის საფუძველზე სახელმწიფო ქონების მართვის ეროვნულმა სააგენტომ გამოყო მინის ნაკვეთები საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობისათვის. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 3 ივლისის №700 განკარგულებით მთავრობამ მოინონა მხარეთა შორის გაფორმებული გრანტის ხელშეკრულება. საქართველოს მთავრობის განკარგულებისა და გრანტის ხელშეკრულების შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2014 წლის 13 იანვარს გასცა №04-01/1296 საგარანტიო წერილი.

მოსარჩელის მითითებით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, ხოლო „...„ დაარღვია ხელშეკრულების პირობები, კერძოდ, ხელშეკრულების 1.1 და 2.1.2 პუნქტების მოთხოვნები, რაც ითვალისწინებდა საჭირო დოკუმენტაციის წარდგენიდან 90 დღის ვადაში პირველი ეტაპისათვის გათვალისწინებული საგრანტო თანხის გადარიცხვას. ამასთან, მოსარჩელის მითითებით, სამინისტრომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამშენებლო დოკუმენტაციის მოსამზადებლად გასწია გარკვეული დანახარჯი, კერძოდ, ორ ობიექტზე გამოცხადდა კონკურსი, კონკურსში გამარჯვებულ ორგანიზაციასთან დადებული ხელშეკრულების შესაბამისად, სამინისტრომ თითოეულ ობიექტზე განეული სამუშაოების ორგანიზებისათვის გადაიხადა ჯამში 574000 ლარი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 394-ე და 416-ე მუხლების შესაბამისად, მოითხოვა მოპასუხისათვის პირგასამტეხლოსა და ზიანის ანაზღაურების დაკისრება 488 074 000 ლარის ოდენობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 9 სექტემბრის განჩინებით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სარჩელი განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

სასამართლო კოლეგიამ იხელმძღვანელა საქართველოს ად-

მინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, ამავე კოდექსის 2.1 მუხლით, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილით, 65-ე მუხლით და აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას იყენებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ დამატებით მოთხოვნებს. ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას არ სარგებლობს კერძო პირისათვის დამახასიათებელი ნების ავტონომიით.

ადმინისტრაციული ხელშეკრულების ერთ-ერთ მახასიათებელს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ხელშეკრულების დადების შედეგად შესაბამისი პირი აღიჭურვება საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით, განსხვავებით სამოქალაქო ხელშეკრულებისაგან.

სასამართლო კოლეგიამ მიიჩნია, რომ მოცემული ხელშეკრულების მონაწილე მხარეები არ არიან აღჭურვილნი საჯარო სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით და სარგებლობენ სამოქალაქო ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელი ნების ავტონომიით, შესაბამისად, მოცემული დავა განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 16 სექტემბრის განჩინებით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სარჩელი საქმის მასალებთან ერთად გადმოიგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში განსჯადობის თაობაზე დავის გადასაწყვეტად.

სასამართლო კოლეგიამ მიიჩნია, რომ მოცემული დავა განეკუთვნებოდა ადმინისტრაციულ დავათა კატეგორიას.

სასამართლო კოლეგიამ იხელმძღვანელა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტით, რომლის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.

სასამართლო კოლეგიამ ასევე მიუთითა სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხლზე, რომელიც განსაზღვრავს სამოქალაქო საქმეების სასამართლოსადმი უწყებრივ ქვემდებარეობას, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლზე და აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად კანონმდებლის მიერ განსაზღვრულია დავის საგანი, რომელიც წარმოშობ

ბილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული.

ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, მოსარჩელის მოთხოვნა სამართლებრივად ეფუძნებოდეს საჯარო, ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს. კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფლების დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით.

სასამართლო კოლეგიის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსა და ააიპ „...“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება.

ხელშეკრულების ადმინისტრაციულად მიჩნევისათვის განმსაზღვრელია როგორც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზანი, ასევე სამართლებრივ ურთიერთობაში მისი როგორც სუბიექტის მონაწილეობა.

სასამართლო კოლეგიის მითითებით, საქართველოს მთავრობის 2008 წლის 22 თებერვლის №34 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დებულების 1-ლი მუხლის თანახმად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო მინდობილ სფეროში სახელმწიფო მმართველობის უზრუნველსაყოფად ასრულებს კანონით გათვალისწინებულ ან საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ კანონის საფუძველზე დაკისრებულ ამოცანებს. აღნიშნული ამოცანების განხორციელებისას იგი წარმოადგენს სახელმწიფოს. ამავ დებულების 1-ლი მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სამინისტროს კომპეტენციას განეკუთვნება აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა, თავშესაფრის მაძიებელთა, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა, რეპატრიანთა, სტიქიით დაზა-

რალეზულთა და სხვა მიგრანტთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის, მიგრაციის კონტროლისა და განსახლების სფეროში. სამინისტრო თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს და ახორციელებს ერთიან სახელმწიფო პოლიტიკას. ამავე დებულების მე-2 მუხლის „ბ„ პუნქტის შესაბამისად, სამინისტროს ერთ-ერთი ფუნქცია და ამოცანაა ქვეყნის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული მდგომარეობის გათვალისწინებით, დევნილთა, თავშესაფრის მაძიებელთა, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა, რეპატრიანტთა, საგანგებო სიტუაციებით (სტიქიური უბედურებები, ეპიდემია და სხვ.) გამონეწული მიგრაციული ნაკადის რეგულირება, მათი დროებითი ან მუდმივი განსახლების ორგანიზება, ადაპტაცია-ინტეგრაციისათვის პირობების შექმნა და სოციალური დაცვა.

ამდენად, სასამართლო კოლეგიამ მიიჩნია, რომ წინამდებარე სადავო სამართალურთიერთობა გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიების განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სარჩელი საქმესთან ერთად უნდა დაუბრუნდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი შეეხება სამოქალაქო საქმეების უწყებრივ ქვემდებარეობას სასამართლობისადმი, რომლის პირველი ნაწილის „ა„ ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-

2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, ხსნებული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მონესრიგებული.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, მოსარჩელის მოთხოვნა სამართლებრივად ეფუძნებოდეს საჯარო – ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით.

მოცემულ შემთხვევაში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო სარჩელით ითხოვს 2013 წლის

10 ივლისს მხარეთა შორის გაფორმებული გრანტის შესახებ ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო პირგასამტეხლო-სა და ზიანის ანაზღაურების მოპასუხისათვის დაკისრებას. შესაბამისად, განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად უნდა შეფასდეს მითითებული – გრანტის ხელშეკრულების სამართლებრივი ხასიათი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, შესაძლებელია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების გზით. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია კონკრეტული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით მონესრიგების უფლებამოსილება მას კანონით აქვს მინიჭებული, მოაწესრიგოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების გზით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „ზ“, ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული ხელშეკრულება წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირებთან, აგრეთვე, სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებულ სამოქალაქო-სამართლებრივ ხელშეკრულებას. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულების ადმინისტრაციულ ხელშეკრულებად მიჩნევის განმსაზღვრელ ძირითად ელემენტს წარმოადგენს, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზანი, ისე სამართლებრივ ურთიერთობაში მისი, როგორც სუბიექტის მონაწილეობა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ დავაში მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობა განმსაზღვრელი არ არის დავის ადმინისტრაციულად მიჩნევისათვის, რამდენადაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65¹ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებში ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს, როგორც სამოქალაქო სამართლის სუბიექტი და ასეთ შემთხვევაში მასზე არ ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნები. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებას განსაზღვრავს ხელშეკრულების მიზანი. ხელშეკრულების მიზანი განისაზღვრება მისი შინაარსიდან გამომდინარე. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ხელშეკრუ-

ლების მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების, ხელშეკრულების დადების შედეგად წარმოშობილი უფლება-მოვალეობების შინაარსს.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსაზრებას მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების ადმინისტრაციულად მიჩნევის თაობაზე, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო მოქმედებდა რა საჯარო უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში, ააიპ „...“, დაიდო ადმინისტრაციული ხელშეკრულება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ხელშეკრულების დადების დროისათვის მოქმედი „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“, 1996 წლის 28 ივნისის კანონის მე-5⁴ მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო ეხმარება დევნილს დროებით საცხოვრებელ ადგილზე საკუთარი უფლებების განხორციელებაში საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამის ორგანოებთან ერთად. ამავე პუნქტის ა) ქვეპუნქტის თანახმად, აღნიშნული ადმინისტრაციული ორგანოები ეხმარებიან დევნილს დროებით დასაქმებაში, მისი პროფესიისა და კვალიფიკაციის გათვალისწინებით; გ) უზრუნველყოფენ დევნილის კონსტიტუციურ უფლებას განათლებაზე და საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სახელმწიფოს ხარჯზე უფასო სწავლებას; ე) ეხმარებიან დევნილს სოციალური და საყოფაცხოვრებო საკითხების გადანყვეტაში; თ) უზრუნველყოფენ დევნილს საქართველოს ფარგლებში დროებითი საცხოვრებელითა და აუცილებელი პირველადი დახმარებით. მითითებული მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სამინისტრო კოორდინაციას უწევს საქართველოს სხვა სამინისტროებისა და უწყებების საქმიანობას დევნილთა უფლებების განხორციელების სფეროში.

უდავოა, რომ როგორც ხელშეკრულების დადების დროისათვის, ასევე ამჟამად მოქმედი კანონმდებლობით დევნილთა განსახლების საკითხების რეგულირება განეკუთვნება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს უფლებამოსილებას, თუმცა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული ნებისმიერი ქმედება ვერ დაკვალიფიცირდება საჯარო

რო სამართლებრივი ხასიათის მატარებლად.

განსჯადობის შესახებ მოცემული დავის გადაწყვეტისათვის განმსაზღვრელია გრანტის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების შეფასება. ანუ ხელშეკრულება ეფუძნება საჯარო თუ კერძო სამართლებრივ ნორმებს, მისი შესრულება მონესრიგებულია თუ არა საჯარო – ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო სამართალურთიერთობა ადმინისტრაციული (საჯარო) სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარეობს.

საქართველოს მთავრობის 2008 წლის 22 თებერვლის №34 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დებულების“, 1-ლი მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სამინისტრო ანგარიშვალდებულია საქართველოს მთავრობის წინაშე, რომელიც კოორდინაციასა და კონტროლს უწევს სამინისტროს საქმიანობას საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში. ამავე დებულების მე-2 მუხლის კ) პუნქტის თანახმად, სამინისტროს ფუნქციას განეკუთვნება თავის ძირითად ამოცანათა ფარგლებში საქმიანობის სტრატეგიისა და პოლიტიკის შემუშავება, საქართველოს მთავრობისათვის წინადადებებისა და პროექტების წარდგენა, მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელების უზრუნველყოფა.

საქმის მასალების თანახმად, მხარეთა შორის გაფორმებული გრანტის ხელშეკრულების პროექტი შეთანხმდა საქართველოს მთავრობასთან, რომლის 2013 წლის 3 ივლისის №700 განკარგულებით მონონებულ იქნა ხელშეკრულების პროექტი. ამავე განკარგულებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაევალა საგარანტიო წერილის გაცემა გრანტის ხელშეკრულების 1-ლი მუხლის 1.2 პუნქტის დარღვევის შემთხვევაში გრანტის გამცემისათვის არამიზნობრივად გამოყენებული თანხის ანაზღაურების თაობაზე, ხოლო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დაევალა გრანტის ხელშეკრულების შესაბამისად სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ პერიოდულად ინფორმაციის საქართველოს მთავრობისათვის მიწოდება.

ამდენად, მხარეთა შორის ხელშეკრულება დაიდო სამინისტროს ძირითადი ფუნქციის განხორციელების მიზნით, ხელშეკრულების არსებით პირობას წარმოადგენდა გრანტის სახით მი-

ღებულის თანხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნობრიობით გამოყენება, ხელშეკრულება შეთანხმდა საქართველოს მთავრობასთან, ამასთან, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების სამინისტროს მხრიდან შეუსრულებლობა უზრუნველყოფილ იქნა სახელმწიფო ბიუჯეტიდან ანაზღაურებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წინამდებარე სადავო სამართალურთიერთობა გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობიდან, სასარჩელო მოთხოვნა ეხება კერძო სამართლის სუბიექტსა და ადმინისტრაციულ ორგანოს შორის არსებული საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავას, რის გამოც მოცემული საქმე განეკუთვნება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით განსაზღვრულ სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ საქმეს.

გარდა აღნიშნულისა, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ სარჩელი მოპასუხე ააიპ „...“ (იურიდიული მისამართი: ქ. ბათუმი, ... ქ. №23) მიმართ, გრანტის ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო პირგასამტეხლოსა და ზიანის დაკისრების შესახებ წარადგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში. მოსარჩელე სარჩელში უთითებდა, რომ ვინაიდან ხელშეკრულების შესრულების ადგილად განსაზღვრული იყო ქ. თბილისი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, რომელიც ადგენს, რომ ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელები სასამართლოს წარედგინება ხელშეკრულების შესრულების ადგილის ან იმ ადგილის მიხედვით, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო, მოცემული დავა თბილისის საქალაქო სასამართლოს განსჯადი იყო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მოცემული საქმე მიიჩნია სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ დავად და იგი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, განსახილველად სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას გადაუგზავნა. ამ უკანასკნელმა კი წამოიწყო დავა საგნობრივ განსჯადობაზე და დავის გადასაწყვეტად საქმე საკასაციო სასამართლოში გადმოიგზავნა.

საკასაციო სასამართლო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში მოცემულ შემთხვევაში უფლება-

მოსილია გადაწყვიტოს დავა მხოლოდ საგნობრივი განსჯადობის შესახებ, რამდენადაც სასამართლოთა შორის მხოლოდ საგნობრივი კუთხით წარიმართა დავა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული დავა განეკუთვნება რა ადმინისტრაციულ დავათა კატეგორიას, საქმე უბრუნდება ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. ამასთან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ ვინაიდან მოცემულ ეტაპზე დავა ეხებოდა საგნობრივ განსჯადობას, საკასაციო სასამართლოს კომპეტენციას სცილდებოდა ტერიტორიული ნიშნით მოცემული დავის განხილვაზე უფლებამოსილი სასამართლოს დადგენა. შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ უნდა იმსჯელოს სახელშეკრულებო ურთიერთობასთან დაკავშირებული სარჩელი სწორად არის თუ არა წარდგენილი ხელშეკრულების შესრულების ადგილის მიხედვით, თუ იგი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ექვემდებარება საერთო განსჯადობის წესით განხილვას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის 1-ლი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, განსხვავებით სამოქალაქო სამართალწარმოებისაგან ამკვიდრებს არა მხოლოდ განსჯადი სასამართლოს პრინციპს, არამედ ადმინისტრაციული კანონმდებლობის მნიშვნელოვან პრინციპს – უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, რაც თავის მხრივ გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოსათვის კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებას. ადმინისტრაციული კანონმდებლობის აღნიშნული პრინციპი კი ასახვას პოულობს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში /მუხლი 26/, კერძოდ, დავის განხილვის და გადაწყვეტის აუცილებლობაში უფლებამოსილი სასამართლოს მიერ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკაცაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სარჩელი საქმის მასალებთან ერთად დაუბრუნდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადმინისტრაციული განსჯადობა

განჩინება

№ბს-638-624(გ-14)

27 ნოემბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ლ. მურუსიძე**

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

2014 წლის 23 ივლისს მ. რ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიმართ.

მოსარჩელემ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სამეგრელო-სვანეთის სახელმწიფო ქონების აღ-

რიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოს 2009 წლის 12 ნოემბრის №2-16/163 მიმართვის, სს „...“, კაპიტალში №... და №... საკადასტრო კოდით დარეგისტრირებული უძრავი ნივთის შეტანის ნაწილში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 31 ივლისის №1-1/1595 ბრძანების, შპს „...“, კაპიტალში №... და №... საკადასტრო კოდით დარეგისტრირებული უძრავი ნივთის შეტანის ნაწილში სს „...“, პარტნიორის 2012 წლის 22 აგვისტოს D127-PR-35 გადაწყვეტილების, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2008 წლის 8 დეკემბრის №... გადაწყვეტილებისა და თ. ქ-ას საკუთრებაში რიცხული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდით ...) შპს „...“, საკუთრებაში გადაცემის ნაწილში აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2012 წლის 7 სექტემბრის №A12032691-018/001 განკარგულების ბათილად ცნობა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 28 ივლისის განჩინებით მ. რ-ის სარჩელი მოპასუხეების – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიმართ განსჯადობით განსახილველად ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს გადაეგზავნა.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან განთავისუფლების შესახებ, აგრეთვე ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთებზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფლის მიხედვით.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში სადავო უძრავი ნივთი – მიწის ნაკვეთი მდებარეობს ზუგდიდის რაიონის სოფ. ... ტერიტორიაზე, სარჩელი უნდა განიხილოს იმ სასამართლომ, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობს სადავო უძრავი ქონება.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს №1/150-2007 გადაწ-

ყვეტილების მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში განსჯად სასამართლოს ზუგდიდის რაიონული სასამართლო წარმოადგენს.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 9 ოქტომბრის განჩინებით მოცემული ადმინისტრაციული საქმე, მოსარჩელე – მ. რ-ი, მოპასუხეები – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო, დავის საგანი – ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან, განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას გადმოეგზავნა.

რაიონული სასამართლოს განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილი შეიცავს ტერიტორიული განსჯადობის განმსაზღვრელ საპროცესო ნორმას და პირდაპირ მიუთითებს, რომ სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება მის ადგილსამყოფლის მიხედვით. აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

რაიონულმა სასამართლომ მიუთითა, რომ მ. რ-ის მიერ აღძრულ სარჩელში დავის საგანს წარმოადგენს არა უძრავი ქონება, არამედ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული მოქმედება და მის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები. ასეთ შემთხვევაში კი განსჯადობის განსაზღვრისას უნდა დადგინდეს არა ის ფაქტი, თუ რას ეხება გამოცემული აქტები და სად მდებარეობს სადავო უძრავი ქონება, არამედ გასაჩივრებული აქტების გამოცემი ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფლის მიხედვით უნდა გაირკვეს, თუ რომელი სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიას განეკუთვნება საქმე განსახილველად.

რაიონული სასამართლოს მითითებით, საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის პირველი ნაწილი ნივთობრივი განსჯადობის შემთხვევაშიც მიუთითებს, რომ სარჩელი შეიძლება შეტანილ იქნეს უძრავი ნივთების ადგილსამყოფლის მიხედვით, რაც არ არის იმპერატიული დათქმა, ხოლო მე-20 მუხლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ სასამართლოს არჩევის უფლება, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, ეკუთვნის მოსარჩელეს.

რაიონულმა სასამართლომ მიუთითა №ბს-425-414(გ-13) ადმინისტრაციულ საქმეზე საკასაციო სასამართლოს მიერ გაკეთებულ განმარტებაზე, რომლის თანახმად, როცა საქმეში დავის საგანს წარმოადგენს არა უძრავი ქონება, არამედ ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებები ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა„ ქვეპუნქტის შესაბამისად გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის საფუძველზე დადგენილი საერთო განსჯადობის წესები.

ამასთან, რაიონულმა სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, რომლის მიხედვით სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავას წყვეტს საკასაციო სასამართლო დასაბუთებული განჩინებით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მოსაზრებების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3. მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიაჩნია, რომ მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

თავდაპირველად საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ განსახილველ შემთხვევაში დავა ეხება ტერიტორიულ განსჯადობას, რა დროსაც საკასაციო სასამართლო ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3. მუხლით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში უფლებამოსილია იმსჯელოს მხოლოდ ტერიტორიულ განსჯადობაზე, ხოლო ამ ეტაპზე საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს იქონიოს მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ყველა სასარჩელო მოთხოვნა ექვემდებარება თუ არა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42.2. მუხლისა და „საერთო სასამართლოების შესახებ„ საქართველოს ორგანული კანონის 3.2. მუხლის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე. „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპუ-

ლი კონვენცია„ კანონიერ სასამართლოზე უფლებას სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლების შემადგენელ ნაწილად მოიაზრებს (მე-6 მუხ.). კანონიერი სასამართლოს უფლება კი სასამართლოს განსჯადობის ზუსტ განსაზღვრას მოითხოვს.

ამასთან, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი იმპერატიული შინაარსის ნორმაა, რომელიც ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ იმ მომენტიდან, როცა სასამართლო არაგანსჯადი ხდება, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.2. მუხლი სასამართლოს ავალდებულებს საქმე გადაუგზავნოს განსჯად სასამართლოს, წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე იქნება არაუფლებამოსილი სასამართლოს მიერ საქმის განხილვა, რაც იწვევს საპროცესო ნორმების იმგვარ დარღვევას, რომელიც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ა„ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური პროცესუალური საფუძველი ხდება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლით რეგლამენტირებულია საერთო განსჯადობის შესახებ წესები. მითითებული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილი თავისი ხასიათით, შინაარსითა და იურიდიული ბუნებით არის ზოგადი და ამავე დროს იმპერატიული ნორმა, რომელიც ერთმნიშვნელოვნად და ცალსახად ადგენს განსჯად საერთო სასამართლოს ტერიტორიული ნიშნის, ანუ მოპასუხის ადგილსამ-

ყოფლის მიხედვით.

ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლით რეგლამენტირებულია ნივთობრივი განსჯადობის შესახებ სპეციალური წესები. ხსენებული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი საკუთრების უფლების შესახებ, თუ დავა ეხება უძრავ ნივთზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთის ადგილსამყოფლის მიხედვით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის პირველი ნაწილის ანალიზი ნათლად გვიჩვენებს, რომ დასახელებული საპროცესო ნორმა ადგენს სპეციალურ განსჯადობას და იძლევა შესაძლებლობას, შესაბამისი სუბიექტური და ობიექტური გარემოებების არსებობისას, განსჯადი სასამართლო განისაზღვროს უძრავი ნივთის ფაქტობრივი ადგილსამყოფლის მიხედვით.

განსახილველ საქმეში მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოები არიან – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო და სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო, ხოლო დავის საგანს წარმოადგენს:

1) საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სამეგრელო-სვანეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოს 2009 წლის 12 ნოემბრის №2-16/163 მიმართვის ბათილად ცნობა,

2) სს „...“ კაპიტალში №... და №... საკადასტრო კოდით დარეგისტრირებული უძრავი ნივთის შეტანის ნაწილში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 31 ივლისის №1-1/1595 ბრძანების ბათილად ცნობა,

3) შპს „...“ კაპიტალში №... და №... საკადასტრო კოდით დარეგისტრირებული უძრავი ნივთის შეტანის ნაწილში სს „...“ პარტნიორის 2012 წლის 22 აგვისტოს D127-PR-35 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა,

4) საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2008 წლის 8 დეკემბრის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა,

5) თ. ქ-ას საკუთრებაში რიცხული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდით ...) შპს „...“ საკუთრებაში გადაცემის ნაწილში აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2012 წლის 7 სექტემბრის №A12032691-018/001 განკარგულების ბათილად ცნობა.

საკასაციო სასამართლო საქმეზე დადგენილად მიიჩნევს (რასაც თავად სასარჩელო მოთხოვნაც ადასტურებს), რომ დავის

საგანი არ ეხება უძრავ ნივთზე უფლებას, რაც განსახილველ შემთხვევაში გამოორიციხავს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის საფუძველზე უძრავი ნივთის ადგილსამყოფლის მიხედვით განსჯადი სასამართლოს დადგენას. საკასაციო სასამართლოს მითითებით, ტერიტორიული განსჯადობის არსი მდგომარეობს პრინციპში, რომლის მიხედვით მოსარჩელე მიმართავს მოპასუხის სასამართლოს. ასეთ შემთხვევაში ტერიტორიული განსჯადობის საკითხი წყდება მოპასუხის ადგილმდებარეობის მიხედვით. ამდენად, სასამართლოებმა წარმოდგენილი სარჩელის სასამართლო წესით განსჯადობის განსაზღვრისას უნდა დაადგინონ არა ის ფაქტი, თუ სად მდებარეობს უძრავი ქონება, არამედ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოების მიხედვით უნდა გამოარკვიონ თუ რომელი სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიას განეკუთვნება საქმე განსახილველად. შესაბამისად, იქიდან გამომდინარე, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოების ადგილსამყოფელია ქ. თბილისი, მოცემულ საქმეზე ტერიტორიული განსჯადობის გათვალისწინებით განსჯად სასამართლოს წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში სარჩელი მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, რომელმაც, თავისმხრივ, შეფასება უნდა მისცეს თითოეული სასარჩელო მოთხოვნის საგნობრივ განსჯადობას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. საქმე – მ. რ-ის სარჩელისა გამო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიმართ, განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული

ციულ საქმეთა კოლეგიას;

2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადმინისტრაციული განსჯადობა

განჩინება

№ბს-668-653(გ-14)

10 მარტი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შორის დავა განსჯადობის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

შპს „...“ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიმართ და მოითხოვა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2013 წლის 13 ნოემბრის №29/2 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 16 აპრილის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმეში მესამე პირად ჩაერთო შპს „ა...“.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 26 ივნისის განჩინებით შპს „...“ სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2013 წლის 13 ნოემბრის №29/2 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, რომელიც მატერიალური თვალსაზრისით შემონიშნებას ექვემდებარება კერძოსამართლებრივ ნორმებთან შესაბამისობის კუთხით, რის გამოც სასამართლომ მიიჩნია, რომ დავა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ვინაიდან დავის საგანი კერძო-სამართლებრივი ურთიერთობიდანაა წარმოშობილი. ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ უნდა შეფასდეს სასმელი წყლის მიწოდების თაობაზე წყალმომარაგების ლიცენზიატსა და მომხმარებელს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულების საკითხი, რის გამოც მისი მოსაზრებით, წარმოდგენილი სარჩელი მიეკუთვნებოდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ კატეგორიას, შესაბამისად, განხილული უნდა ყოფილიყო სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრებით, მხოლოდ ის გარემოება, რომ განსახილველ დავაში მონაწილეობს ადმინისტრაციული ორგანო, ვერ შეცვლის დავის კერძოსამართლებრივ ხასიათს და ვერ განაპირობებს ადმინისტრაციულ სამართალწარმოების წესით მოცემული დავის განხილვას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 8 სექტემბრის განჩინებით შპს „...“ სარჩელის საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიმართ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2013 წლის 13 ნოემბრის №29/2 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე, განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ განმარტა, რომ „...“ სარჩელი არ განეკუთვნება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11

მუხლით განსაზღვრულ საქმეთა კატეგორიას.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრებით, აღძრული დავა გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, რის საფუძველზეც მიუთითა „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „გ“ პუნქტზე, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტისა და „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლზე, ზემოაღნიშნულ საკანონმდებლო ნორმებიდან გამომდინარე, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განმარტებით, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია წარმოადგენს კანონის საფუძველზე შექმნილ საჯარო უფლებამოსილებების განმახორციელებელ კოლეგიური მართვის ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელსაც კანონმდებლობით მინიჭებული აქვს დამატებითი საჯარო უფლებამოსილება – გადაწყვიტოს მის რეგულირებას დაქვემდებარებულ საწარმოებს, ასევე ამ საწარმოებსა და მომხმარებლებს შორის არსებული დავები, ხოლო დავები განიხილება საჯარო მოსმენის წესით და ამ საჯარო უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელიც საჩივრდება საერთო სასამართლოში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ, როგორც ადმინისტრაციულმა ორგანომ განიხილა მიმჩნობდებულს ანუ შპს „...“ და მომხმარებელს – შპს „ა...“ შორის არსებული დავა და თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ განმარტა, რომ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2013 წლის 13 ნოემბრის №29/2 სადავო გადაწყვეტილება წარმოადგენს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ, შედეგის წარმომშობ და შესასრულებლად სავალდებულო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ სადავო აქტის გამოცემისას იხელმძღვანელა საჯარო კანონმდებლობით – ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით. შპს „...“ და შპს „ა...“ შორის არ-

სებული კონკრეტული სადავო ურთიერთობა წარმოადგენს თუ არა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის განსახილველ საკითხს და უნდა მიეღო თუ არა კომისიას მოცემული ურთიერთობის ფარგლებში გადაწყვეტილება საერთოდ, აღნიშნული ცალკე განხილვის საგანია და სწორედ ეს საკითხი წარმოადგენს ადმინისტრაციული სასამართლოს კვლევის საგანს.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრებით, ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, სამოქალაქო სასამართლოს მიერ აღნიშნული დავის წარმოდგენილი სახით განხილვა შეუძლებელია, ვინაიდან სადავო გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმება (უნდა მიეღო თუ არა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას გადაწყვეტილება მხარეთა შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში, როდესაც სახეზე არ არის სამართალდარღვევა) უნდა მოხდეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების ფარგლებში, რისთვისაც გამოყენებული უნდა იქნეს ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრებების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიაჩნია, რომ შპს „...“ სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯად დავას წარმოადგენს, შესაბამისად, საქმე საგნობრივი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს მითითებულ კოლეგიას და განხილულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცე-

მის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე კოდექსის მე-2 მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, ამ მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

ამდენად, მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით განისაზღვრა, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველ და მეორე ნაწილში დაკონკრეტებული დავები, აგრეთვე სხვა დავები, რომლებიც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარეობს და მისგან არის წარმოშობილი. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვისათვის აუცილებელ ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც მითითებულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი, მეორე და მესამე ნაწილებში, ამასთან აღნიშნული დავები წარმოშობილი უნდა იყოს იმ სამართალურთიერთობებიდან, რომლებიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს დავის საგანზე, მოსარჩელემ სასარჩელო მოთხოვნით სადავოდ გახადა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2013 წლის 13 ნოემბრის №29/2 გადაწყვეტილება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოა ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს.

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით ან კანონის საფუძველზე სახელმწიფო

მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული აქტით შექმნილი, საკანონმდებლო და სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს ნორმატიული აქტით შექმნილი, სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონით ეროვნული მარეგულირებელი ორგანო არის სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული სფეროს რეგულირების მიზნით შექმნილი, სპეციალური უფლებაუნარიანობის მქონე საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც არ ჰყავს სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანო, დამოუკიდებელია სახელმწიფო ორგანოებისაგან და მოქმედებს ამ კანონითა და შესაბამისი კანონით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 6 მარტის №6 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დებულების“ საფუძველზე საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია არის სპეციალური უფლებაუნარიანობის მქონე საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც არ ჰყავს სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანო, დამოუკიდებელია სახელმწიფო ორგანოებისგან და მოქმედებს „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ და „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონებით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში.

ამდენად, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია არის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორში ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგუ-

ღირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 6 მარტის №6 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დებულების“ საფუძველზე კომისიის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას წარმოადგენს ლიცენზიატებს, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურებს, იმპორტიორებს, ექსპორტიორებს, მიმწოდებლებს, მომხმარებლებსა და ბაზრის ოპერატორს შორის წარმოქმნილი სადავო საკითხების გადაწყვეტა თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის თანახმად, კომისიის სამართლებრივი აქტებია მისი კომპეტენციის ფარგლებში მიღებული ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – დადგენილება. კომისიის დადგენილებით მტკიცდება: ა) კომისიის დებულება; ბ) ადმინისტრაციული წარმოების დებულება; გ) სადავო საკითხების განხილვის პროცედურული წესები; დ) რეგულირების საფასურის ოდენობა და გაანგარიშების წესი; ე) ლიცენზირების წესები; ვ) მიწოდებისა და მოხმარების წესები; ზ) ტარიფების მეთოდოლოგია; თ) ტარიფები (მათ შორის, ზღვრული); ი) ნორმატიული დანაკარგების ოდენობა და გაანგარიშების წესი; კ) ქსელის წესები. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე ამ კანონით გათვალისწინებულ ცალკეულ, ინდივიდუალურ, მათ შორის, დადგენილებიდან გამომდინარე, საკითხებზე კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს ამავე მუხლის მე-3 პუნქტზე, რომლის თანახმად კომისიის დადგენილებები და გადაწყვეტილებები მიიღება კომისიის სხდომაზე კომისიის წევრთა ხმების უმრავლესობით. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის არანაკლებ 3 წევრისა. კომისიის დადგენილებებისა და გადაწყვეტილებების შესრულება სავალდებულოა ლიცენზიატების, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურების, მიმწოდებლების, იმპორტიორების, ექსპორტიორების, მომხმარებლებისა და ბაზრის ოპერატორისათვის.

ამდენად, ლიცენზიატებს, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურებს, იმპორტიორებს, ექსპორტიორებს, მიმწოდებლებს, მომხმარებლებსა და ბაზრის ოპერატორს შორის წარმოქმნილი სადავო საკითხების გადაწყვეტა არის საჯარო სამართლებრივი ფუნქციის განხორციელება და იგი წარმოადგენს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 6 მარტის №6 დადგენილებით დამტკიცებულ „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარა-

გების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დებულებით“ გათვალისწინებულ კომისიის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას, ხოლო ამ ფუნქციის განსახორციელებლად ადმინისტრაციულ ორგანოში გასაჩივრებული დარიცხვის კანონიერების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება – საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს წარმოადგენს.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული დავა სწორედ ადმინისტრაციული ურთიერთობიდან წარმოშობილი დავაა, რამდენადაც დავის საგანს წარმოადგენს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ეთანხმება სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, რომ მოცემული საქმის სამოქალაქო სამართალწარმოების პროცედურებით განხილვა გამოიწვევს საპროცესო ნორმების ისეთ დარღვევას, რომელიც აუცილებლად განაპირობებს საქმეზე უკანონო გადაწყვეტილების დადგენას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოცემული საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯად ადმინისტრაციულ დავას წარმოადგენს, რის გამოც საქმე განსახილველად უნდა დაექვემდებაროს მითითებულ სასამართლოს განსჯადობის მიხედვით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-2 და 26-ე მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 439-ე და 408-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „...“ სარჩელი მოპასუხე – საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეცეს განსჯად სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადმინისტრაციული განსჯადობა

ბანჩინება

№ბს-1-1(გ-15)

23 ივლისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე, (თავჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
მ. ვაჩაძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე განიხილა შპს „...“ სასარჩელო განცხადებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა განსჯადობის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიასა და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შორის.

აღწერილობითი ნაწილი:

შპს „...“ 15.09.2014წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა ნ. მ-ის სამედიცინო მომსახურების განწვევის გამო, მოპასუხისთვის 4275.00 ლარის დაკისრება.

მოსარჩელე აღნიშნავს, რომ 19.04.2013წ. ნ. მ-ი ჰოსპიტალიზირებულ იქნა „...“, სადაც მას ჩაუტარდა მკურნალობა. პაციენტს შემოსვლისთანავე გაენია შესაბამისი მკურნალობა (საკეისრო კვეთა). მიუხედავად სწორად ჩატარებული სამედიცინო ქმედებებისა, მდგომარეობა გართულდა, ჩამოყალიბდა პერიტონიტის სურათი. ექიმებმა მიიღეს გადაწყვეტილება გადაედოთ ოპერაციული ჩარევა და გაეგრძელებინათ კონსერვატიული მკურნალობა, რადგან ამის საშუალებას პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობაც უწყობდა ხელს. მცდელობის მიუხედავად პაციენტს 25.04.2013წ. მაინც დასჭირდა ოპერაციული ჩარევა, ხოლო 09.05.2013წ. განერილ იქნა ჯანმრთელ მდგომარეობაში.

სამედიცინო დაწესებულებამ საქართველოს მთავრობის 15.03.12წ. №92 დადგენილებაზე მითითებით მოითხოვა ლოგი-

ნობის ხანის სეფსის და საშვილოსნოს ექსტირპაციის ღირებულების ანგარიშსწორება 3000 ლარის ოდენობით (ფაქტიური ხარჯი 6247.99 ლარი). მოპასუხემ საშვილოსნოს ექსტირპაცია მიიჩნია დაგვიანებულად, რის გამოც უარი განაცხადა განეული მომსახურების ანაზღაურებაზე.

საექსპერტო დასკვნებზე მითითებით, მოსარჩელე თვლის, რომ პაციენტს კლინიკაში ყოფნის დროს გაენია ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამისი, სრულფასოვანი, დროული და ადეკვატური მომსახურება. ოპერაციის გადადებით იქმნებოდა მაღალი შანსი პაციენტისათვის საშვილოსნოს შენარჩუნების.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისათვის პაციენტ ნ. მ-ისათვის განეული სამედიცინო მომსახურების ღირებულების 3000 ლარის ანაზღაურების დაკისრება. მოსარჩელემ მოითხოვა აგრეთვე მოპასუხისათვის საექსპერტო მომსახურების ღირებულების – 1275 ლარის დაკისრება.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო წარმოდგენილი შესაგებლით არ ეთანხმება მოსარჩელის მოთხოვნას და მიუთითებს სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს 30.09.13წ. შემონმების აქტზე, რომლითაც დადგინდა, რომ პაციენტ ნ. მ-ის მკურნალობისას ადგილი ჰქონდა რიგ დარღვევებს, რის გამოც საქართველოს მთავრობის 15.03.12წ. №92 დადგენილების 21-ე მუხლის მეცხრე პუნქტის თანახმად პროგრამის მიმნოდებელ – შპს „...“ დაეკისრა განეული სამედიცინო მომსახურების სამმაგი ოდენობის გადახდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 17.30.14წ. განჩინებით აღნიშნული საქმე განსჯადობით გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ სარჩელი ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯადია, რადგან პაციენტ ნ. მ-ს მკურნალობა გაენია სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, რომელიც აწესრიგებს საჯარო სამართლებრივ ურთიერთობებს. შესაბამისად, მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობა მთლიანად საჯარო კანონმდებლობიდან და არა კერძო-სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარეობს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 27.10.14წ. განჩინებით სასკ-ის მე-16 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საქმეში მესამე პირად სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო ჩაერთო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 01.12.14წ. განჩინებით შპს „...“ სარჩელი განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას. ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია არ დაეთანხმა სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებას განსჯადობასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მოსარჩელის მიერ სასარჩელო მოთხოვნაში მითითებული თანხის გადახდის ვალდებულება წარმოიშვა სახელშეკრულებო ურთიერთობიდან და არა საჯარო სამართლებრივი ნორმებიდან.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებების გაცნობის შედეგად, სასკ-ის 26-ე მუხლის მესამე ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, თვლის, რომ შპს „...“ სარჩელი განსჯადობით განსახილველად ექვემდებარება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველ შემთხვევაში დავა ეხება საგნობრივ განსჯადობას. შესაბამისად, უნდა შეფასდეს შპს „...“ და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის ხასიათი.

სახელმწიფოს მიერ პროგრამული და მიზნობრივ-პროგრამული წესით ჯანმრთელობის დაცვის დაფინანსება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი პრინციპთაგანია („ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის „პ“ ქვეპუნქტი). სამედიცინო დახმარების ხარისხის კონტროლი, სამედიცინო პროგრამების შემუშავება და განხორციელება, სახელმწიფო სამედიცინო პროგრამების განხორციელების გზით ჯანმრთელობის დაცვის სფეროს განვითარებისათვის ხელის შეწყობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროს სახელმწიფო მართვის მექანიზმის შემადგენელი ნაწილია („ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ კანონის 16.1 მუხლის „ბ“, „თ“, „ლ“ ქვეპუნქტები). მხედველობაშია მისაღები აგრეთვე ის გარემოება, რომ განსახილველ შემთხვევაში დავა წარმოშობილია არა პაციენტსა და სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელს

ან პაციენტსა და სადაზღვევო კომპანიას შორის, არამედ დავა წარმოიშვა პროექტის განმხორციელებელსა და სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელს შორის. „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ კანონის 16.2 მუხლის შესაბამისად კომპეტენტური სამსახურის მიერ შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელებისათვის საქართველოს მთავრობის დადგენილებით შესაძლებელია დაწესდეს მომსახურების საფასური და მისი განაკვეთები, განისაზღვროს საფასურის გადახდისა და გადახდილი საფასურის დაბრუნების წესები, ასევე საფასურის გადახდისაგან გათავისუფლების პირობები. ამავ კანონის 21-ე მუხლის მიხედვით სამედიცინო საქმიანობის სამართალსუბიექტს, რომელიც დადგენილი წესით მონაწილეობს ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაში, შესრულებული სამუშაო უნაზღაურდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დამტკიცებული ანაზღაურებისა და დაფინანსების წესების მიხედვით. მოცემულ შემთხვევაში სახელმწიფო პროგრამის ადმინისტრირების, შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების წესი განისაზღვრა საქართველოს მთავრობის 15.03.12წ. №92 დადგენილებით დამტკიცებული პროგრამით, პროგრამის განმახორციელებლად დანიშნულია სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო, რომელიც სზაკ-ის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანო.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელეს უარი ეთქვა ანაზღაურებაზე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფროსის ბრძანებების საფუძველზე შექმნილი კომისიის 30.09.13წ. შემოწმების აქტის საფუძველზე, რომლითაც შესწავლილ იქნა შპს „...“ „ დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის“ სახელმწიფო პროგრამის „მაღალი რისკის ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა მკურნალობის“ კომპონენტის ფარგლებში რამოდენიმე პაციენტისათვის, მათ შორის ნ. მ-სათვის, განეული სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის მართლზომიერება. კომისიის 30.09.13წ. შემოწმების აქტის მიხედვით შპს „...“ განეული სამედიცინო მომსახურების ღირებულება მოითხოვა ორი კოდით: საკეისრო კვეთა 082.1 (ფაქტიური ხარჯი – 1642,57 ლ., ნოზოლოგიის ღირებულება 833 ლ., სახელმწიფოს ასანაზღაურებელი – 625 ლ., თანაგადახდა პაციენტის მხრიდან – 208 ლ.) და ლოგინობის ხანის სეფსისი (ენდომეტრიტი), საშვილოსნოს ექსტირპაცია 085 (ფაქტიური ხარჯი – 6247,99 ლ., ნოზოლოგიის

ღირებულება – 3000 ლ.). კომისიამ მიიჩნია, რომ პაციენტ ნ. მისათვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ცენტრში განეული სამედიცინო მომსახურების განვეისას დაირღვა სახელმწიფო პროგრამის მარეგულირებელი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნები, რის გამო, დაწესებულების ბიუჯეტში დასაბრუნებელმა თანხამ შეადგინა 10875 ლ. (625 ლ. სამმაგი და 3000 ლარი სამმაგი ოდენობის ჯამი). კომისიის 30.09.13წ. შემონმების აქტი არ ინვევს უშუალო სამართლებრივ შედეგს და მაშასადამე არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რის გამოც განსახილველი სარჩელის აღძვრამდე შპს „...“ მიერ 12.03.14წ. შემონმების აქტის მე-5 პუნქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით აღძრულ სარჩელზე სასამართლო წარმოება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 27.03.14წ. განჩინებით შეწყდა დაუშვებლობის გამო. რაც შეეხება განსახილველ დავას, მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის მოთხოვნის ადრესატი არის ადმინისტრაციული ორგანო – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო. სააგენტო უარს აცხადებს განეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურებაზე სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფროსის ბრძანებით შექმნილი კომისიის შემონმების აქტის საფუძველზე, უარის სამართლებრივ საფუძვლად მითითებულია ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი – საქართველოს მთავრობის 15.03.12წ. №92 დადგენილება, რომელიც თავის მხრივ მიღებულია „საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონის 39-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ კანონის მე-19 მუხლის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის 1-ლი მუხლის 31-ე პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის საფუძველზე. მოპასუხე უარის საფუძვლად უთითებს 15.03.12წ. №92 დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის მე-9 მუხლის 21-ე პუნქტს, რომლის თანახმად „იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელმა პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებაზე უარი განუცხადა პროგრამის მოსარგებლეს ან მომსახურება გაუნია დავიანებით (მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო), ან არასრულად, ან უხარისხოდ, მიმწოდებელი იხდის ჯარიმას გასანევი/განეული მომსახურების ღირებულების სამმაგი ოდენობის სახით“. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო უარს აცხადებს განეული სამედიცინო მომსახურების ღირებულების ანაზღაურებაზე აგრეთვე საქართველოს მთავრობის 15.03.12წ. №92 დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის დებულებების საფუძველზე, რომლის თანახ-

მად სააგენტო, როგორც პროგრამის განმახორციელებელი, ზედამხედველობის, ინსპექტირების და რევიზიის შედეგების საფუძველზე დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში უფლებამოსილია არ ანაზღაუროს მიმწოდებლის მიერ გაწეული სამედიცინო მომსახურების ღირებულება. საქმის მასალებით დასტურდება, რომ საჯარიმო სანქციაში საბოლოოდ გათვალისწინებულ იქნა მხოლოდ ლოგინობის ხანის სეფსისი (ენდომეტრიტი) და საშვილოსნოს ექსტიპირაციის (ღირებულება 3000 ლ.) სამმაგი ოდენობა, შესაბამისად ბიუჯეტში შესატანი თანხა 9000 ლარით განისაზღვრა, რასაც შპს „...“ არ ეთანხმება. საქმის მასალებით დასტურდება, რომ სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო თვლის, რომ საკეისრო კვეთიდან მე-6 დღეს წარმოებული რელაპარატომია დაგვიანებული იყო.

ამდენად, მოცემულ შემთხვევაში მოთხოვნის ადრესატი არის ადმინისტრაციული ორგანო. ადმინისტრაციული ორგანო – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო 15.03.12წ. №92 დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, არის მოცემული სახელმწიფო პროგრამის განმახორციელებელი ორგანო (უზრუნველყოფს 2012 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის განხორციელებას). საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 27.06.07წ. №190/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით სააგენტოს ფუნქციათა წრეს განეკუთვნება ჯანმრთელობის სფეროში შესაბამისი სახელმწიფო პროგრამების განხორციელება კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, მოსახლეობის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაცია და მისი განხორციელების ხელშეწყობა. საქართველოს მთავრობის 15.03.12წ. №92 დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის მე-8 და 10.2 მუხლების მიხედვით პროგრამის ადმინისტრირებაში მონაწილე სახელმწიფო დაწესებულებებს პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების (სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს) გარდა მონაწილეობს აგრეთვე სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო, რომელიც განსახილველ დავაში საქალაქო სასამართლოს 27.10.14წ. განჩინებით საქმეში მესამე პირად არის ჩართული. აღნიშნული შეესაბამება ხსენებული პროგრამის მე-16.4 მუხ-

ლის დებულებას იმის შესახებ, რომ დავის შემთხვევაში განხილვაში ჩართული უნდა იქნენ მიმწოდებელი, განმახორციელებელი და რეგულირების ორგანო.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს უარი ანაზღაურებაზე ემყარება ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, კერძოდ საქართველოს მთავრობის 15.03.12წ. №92 დადგენილებას, ამ დადგენილებით დამტკიცებულ პროგრამას, რომელიც ითვალისწინებს გამოვლენილი დარღვევებისათვის სხვადასხვა ტიპის საჯარიმო სანქციების გამოყენებას პროგრამის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ (21-ე, 22-ე მუხ.), რაც განაპირობებს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ სამედიცინო ღირებულების ანაზღაურებაზე უარის თქმას.

ამდენად, სადავო ურთიერთობები გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან (სასკ-ის მე-2 მუხლის მე-3 ნაწ.), დავის საგანი ეხება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ქმედების განხორციელების დავალებას (ანაზღაურების თანხის გადახდის დაკისრებას), რაც სასკ-ის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად განეკუთვნება ადმინისტრაციული სამართალწარმოების დავის საგანს.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს მთავრობის 15.03.12წ. №92 დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის №7 დანართის („დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა“) 2.2 მუხლის თანახმად, მოსარგებლე ამ პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებას იღებს სახელმწიფო დახმარების სახით, მოსარჩელე შეიძლება მიჩნეულ იქნეს სახელმწიფო მომსახურების გამწვანად. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ სამართალურითობის სამივე სუბიექტი ჩართულია სახელმწიფო მომსახურების განევაში, რაც განაპირობებს დავის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვის საჭიროებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „...“ და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს შორის განსახილველი დავა არის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯადი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, მე-2 მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 285-ე მუხლით და

დაადგინა:

1. შპს „...„ სარჩელი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართ განსჯადობით დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. ტერიტორიული განსჯადობა

განჩინება

№ბს-468-457(გ-14)

10 მარტი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

ე. ა-ემ 2014 წლის 14 ივლისს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ, რომლითაც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის 2014 წლის 31 მარტის №... გადაწყვეტილებისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 6 ივნისის №... გადაწყვეტილების ბათონად ცნობა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურისათვის ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 15 ივლისის განჩინებით ე. ა-ის სარჩელი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს.

სასამართლომ მიუთითა, რომ „საერთო სასამართლოების შეახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის თანახმად, რაიონული (საქალაქო) სასამართლოების განსჯადობას მიკუთვნებულ საქმეებს განსაზღვრავს საპროცესო კანონი. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად: თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექ-

სის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით მოწესრიგებულია სარჩელის განსჯადობასთან დაკავშირებული საკითხები, თუ რომელმა სასამართლომ უნდა განიხილოს სასამართლოსადმი დაქვემდებარებული კონკრეტული საქმე. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელის საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვისაგან განთავისუფლების შესახებ, აგრეთვე ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთებზე, მათ შორის მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფლის მიხედვით.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს №1/150-2007 გადაწყვეტილებით „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ განისაზღვრა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის, 23-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის პირველი პუნქტის, 28-ე მუხლისა და 30-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, რაიონული (საქალაქო) სასამართლოებისა და თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები, აღნიშნულ სასამართლოებსა და სასამართლო კოლეგიებში (პალატებში) მოსამართლეთა რაოდენობა. ამავე გადაწყვეტილების 54-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვროს ხელვაჩაურის, ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით. მოცემულ შემთხვევაში სადავო უძრავი ნივთი – მიწის ნაკვეთი მდებარეობს ხელვაჩაურში, ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელის განხილვა უნდა მომხდარიყო იმ სასამართლოს მიერ, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობს სადავო უძრავი ქონება. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ საქმეზე განსჯად სასამართლოს წარმოადგენდა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მოსარჩელე ე. ა-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადააგზავ-

ნა ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 25 ივლისის განჩინებით სასამართლოებს შორის განსჯადობაზე დავის გადასაწყვეტად ე. ა-ის სარჩელი გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას (მის: ქ.თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32).

სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის თანახმად, სარჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან გათავისუფლების შესახებ, აგრეთვე ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთებზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთებზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთის ადგილსამყოფლის მიხედვით. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 7 აგვისტოს №1/170 გადაწყვეტილების საფუძველზე შეიქმნა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლო, რომლის სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრა ხელვაჩაურის, ქედის, შუახევის და ხულოს მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით. საქართველოს პარლამენტის 2011 წლის 14 ივნისის №4757-ლს დადგენილების თანახმად, „ერთი მხრივ, თვითმმართველ ქალაქ ბათუმსა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტს და, მეორე მხრივ, თვითმმართველ ქალაქ ბათუმსა და ქობულეთის მუნიციპალიტეტს შორის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის თაობაზე“, ქ. ბათუმისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლასთან დაკავშირებით ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის რიგი ტერიტორიები მოექცა ქ. ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში. აღნიშნულმა განაპირობა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გარკვეული ტერიტორიული ერთეულების თემების ნაწილობრივ დაყოფა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში, როგორც სასარჩელო განცხადებით ირკვევა, დავის საგანს წარმოადგენს უძრავი ქონება მდებარე ხელვაჩაური, მწვანე კონცხი, რომელიც დღეის მდგომარეობით თვითმმართველი ქალაქ ბათუმის ადმინისტრაციული საზღვრების ფარგლებშია შესული. შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის საფუძველზე, ე. ა-ის სარჩელი წარდგენილი უნდა ყოფილიყო სასამართლოში ნივთის ადგილსამყოფელის მიხედვით. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ე. ა-ის სარჩე-

ლი განსჯადობით განსახილველად ექვემდებარებოდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლოს საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მოსაზრებების გაცნობის შედეგად მიაჩნია, რომ ე. ა-ის სარჩელი საქმესთან ერთად უნდა დაუბრუნდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ გვაქვს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე სასამართლოთა შორის დავა საქმის განსჯადობის თაობაზე, შესაბამისად, სახეზე არ არის ამავე მუხლით დადგენილი საკასაციო სასამართლოს იურისდიქცია – სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის გადაწყვეტის უფლებამოსილების თაობაზე, ვინაიდან ხელვაჩაურის რაიონული სასამართლო არ დავობს, რომ საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ განხილვას ექვემდებარება, არამედ, მიაჩნია, რომ საქმე სრულიად სხვა – ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განხილვის საგანს წარმოადგენს. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ განსახილველ შემთხვევაში, ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა არა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, არამედ ამავე მუხლის მე-2 ნაწილით და საქმე გადაეგზავნა უფლებამოსილი სასამართლოსათვის, რომელიც თუ მიიჩნევდა, რომ განსჯად სასამართლოს წარმოადგენდა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლო, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე წამოიწყებდა დავას განსჯადობის შესახებ, რა შემთხვევაშიც საკასაციო სასამართლოს პროცესუალური უფლებამოსილება, გადაწყვიტოს დავა სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, სახეზე იქნებოდა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დავა განსჯადობის თაობაზე, რომლის გადაჭრის უფლებამოსილება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე გააჩნია საკასაციო სასამართლოს, გულისხმობს სასამართლოთა შორის შეუთანხმებლობას დავის საგანთან მიმართებაში სასამართლოს უფლებამოსილების პრინ-

ცივის გათვალისწინებით, რაც კონკრეტულ შემთხვევაში სახეზე არ არის, რის გამოც საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მსჯელობა სასამართლოთა შორის ასეთი დავის არსებობისა და შესაბამისად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით საქმის საკასაციო სასამართლოსათვის გადმოგზავნის თაობაზე დაუსაბუთებელია, ვინაიდან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ საქმე ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში გადაიგზავნა იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ე. ა-ის სარჩელის საგანი წარმოადგენს ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიას, რადგან სადავო უძრავი ქონება სოფ. ... მდებარეობს; ხოლო ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის საფუძველზე, ნაცვლად განსჯადობაზე დავის წამოწყებისა, საქმე უნდა გადაეგზავნა ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისათვის განსახილველად იმ მოტივით, რომ ე. ა-ის მიერ აღძრულ სარჩელში მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოები არიან – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახური და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, შესაბამისად, დავის საგანს წარმოადგენს მოპასუხეთა მიერ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერება. აღნიშნულის გამო, გამოყენებულ უნდა იქნეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის საფუძველზე დადგენილი საერთო განსჯადობის წესები და არა მე-18 მუხლით გათვალისწინებული სპეციალური განსჯადობის წესები, რომელზეც უთითებს ხელვაჩაურის რაიონული სასამართლო საქართველოს პარლამენტის 2011 წლის 14 ივნისის №4757-ლს დადგენილებაზე აპელირებით, რომლის თანახმად, სოფ. ... მდებარე სადავო უძრავი ქონება დღეის მდგომარეობით თვითმმართველი ქალაქ ბათუმის ადმინისტრაციული საზღვრების ფარგლებშია მოქცეული. თუმცა, ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს აღნიშნული დასაბუთებითაც საქმე უნდა გადაეგზავნა განსჯადი – ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისათვის და არა საკასაციო სასამართლოსათვის, რადგან ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოსა და ბათუმის საქალაქო სასამართლოს შორის არ არსებობდა დავა განსჯადო-

ბის თაობაზე.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა კლასიკური დავა სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, თუ ბათუმის საქალაქო სასამართლო არ დაეთანხმებოდა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მსჯელობას დავის ბათუმის საქალაქო სასამართლოს განსჯადად მიჩნევის თაობაზე. ამდენად, საკასაციო სასამართლო განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად უფლებამოსილი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მიერ საქმის გადაგზავნის შემდეგ ბათუმის საქალაქო სასამართლო წამოიწყებდა დავას ტერიტორიული განსჯადობის თაობაზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, განსხვავებით სამოქალაქო სამართალწარმოებისაგან ამკვიდრებს არა მხოლოდ განსჯადი სასამართლოს პრინციპს, არამედ ადმინისტრაციული კანონმდებლობის მნიშვნელოვან პრინციპს – უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, რაც თავის მხრივ გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოსათვის კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებას. ადმინისტრაციული კანონმდებლობის აღნიშნული პრინციპი კი ასახვას პოულობს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში /მუხლი 26/, კერძოდ, დავის განხილვის და გადაწყვეტის აუცილებლობაში უფლებამოსილი სასამართლოს მიერ.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მიერ სადავოა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის საფუძველზე ტერიტორიული განსჯადობა ბათუმის საქალაქო სასამართლოსთან, რომლის მსჯელობის საგანი არც გამხდარა წინამდებარე საქმის განხილვის კომპეტენცია, რაც ნათლად მიანიშნებს, რომ ამ ვითარებაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და ხელვაჩაურის

რაიონულ სასამართლოს შორის არ არსებობს დავა განსჯადობაზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში დაშვებული სასამართლოებს შორის საქმის განსჯადობის შესახებ დავა უზრუნველყოფილია და ემსახურება საქმის მხოლოდ იურისდიქციული ორგანოს მიერ განხილვის იმპერატიული დანაწესის შესრულებას, ხოლო საკასაციო სასამართლოსათვის მინიჭებული კომპეტენცია განსჯადობის შესახებ გულისხმობს ორი სასამართლოს მსჯელობის სამართლებრივ შეფასებას. სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის არსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ საკასაციო სასამართლო მსჯელობს მოდავე სასამართლოების დასაბუთებულ შეხედულებებზე კომპეტენციის თაობაზე და წყვეტს დავას სწორედ ერთ-ერთი სასამართლოს მსჯელობის, სამართლებრივი კვალიფიკაციის გაზიარების საფუძველზე, რაც განსახილველ შემთხვევაში სახეზე არ არის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსჯადობის შესახებ დავის არარსებობის გამო საქმე უნდა დაუბრუნდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. საქმე – ე. ა-ის სარჩელისა გამო, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და ამავე სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ, დაუბრუნდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ტერიტორიული განსჯადობა

განჩინება

№ბს-692-678(გ-14)

10 მარტი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და რუსთავის საქალაქო სასამართლოს შორის დავა განსჯადობის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

მ. კ-ემ 2014 წლის 29 სექტემბერს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ, რომლითაც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 25.08.2014 წ. №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 29 სექტემბრის განჩინებით მ. კ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა რუსთავის საქალაქო სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 და მე-18 მუხლებზე, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტზე და აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე სადავოდ ხდის ქ. რუსთავში მდებარე უძრავი ნივთის რეგისტრაციასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერების საკითხს. ამდენად, ხსენებული საქმის განხილვისას უნდა შესწავლილი იქნეს რამდენად მართებულად იქნა მიღებული გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების დროს. სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელის განხილვა უნდა მოხდეს იმ სასამართლოს მიერ, რომლის სამოქმედო ტე-

რიტორიაზეც მდებარეობს სადავო უძრავი ქონება. მოცემულ შემთხვევაში აღნიშნულ სასამართლოს წარმომადგენს რუსთავის საქალაქო სასამართლო. გარდა აღნიშნულისა, დავის საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის მიზნით, შესაძლებელია საჭირო გახდეს ისეთი საპროცესო მოქმედების განხორციელება, როგორცაა – ადგილზე დათვალიერება. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ უძრავი ქონების ადგილმდებარეობის მიხედვით საქმის განხილვა, უფრო ეფექტურს გახდიდა მართლმსაჯულების განხორციელების პროცესს. შესაბამისად, მ. კ-ის სარჩელი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად განსჯადობით განსახილველად გადააგზავნა რუსთავის საქალაქო სასამართლოში.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 13 ოქტომბრის განჩინებით მოსარჩელე მ. კ-ის სარჩელი მოპასუხე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

რუსთავის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელი გადაგზავნილი იყო არაგანსჯად სასამართლოში, რითაც დაირღვა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი განსჯადობის წესები, რის გამოც რუსთავის საქალაქო სასამართლო არ იყო უფლებამოსილი განეხილა აღნიშნული სარჩელი და ჩათვალა, რომ წამოწყებულ უნდა ყოფილიყო დავა განსჯადობის საკითხზე შემდეგ გარემოებათა გამო: საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქცია-საც ექვემდებარება მისი საქმე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლი განსაზღვრავს ტერიტორიული განსჯადობის საერთო წესს. მითითებული მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად: „სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული

პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით“.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ საქმეზე მოსარჩელე მოპასუხედ ასახელებს, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, ხოლო სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 25 აგვისტოს №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

სასამართლომ განმარტა, რომ მ. კ-ის მიერ აღძრულ სარჩელში დავის საგანს წარმოადგენს არა უძრავი ქონება, არამედ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული ქმედება, რადროსაც განსჯადობის განსაზღვრისას უნდა დადგინდეს არა ის ფაქტი, თუ რას ეხება მოცემული აქტები და სად მდებარეობს სადავო უძრავი ქონება, არამედ აქტების გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფლის მიხედვით უნდა გაირკვეს, თუ რომელი სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიას განეკუთვნება საქმე განსახილველად, მით უფრო მაშინ, როდესაც განსახილველ შემთხვევაში ადმინისტრაციული დავის საგანს წარმოადგენს არა უძრავ ნივთებთან დაკავშირებული კონფლიქტი, არამედ სარჩელის ობიექტია – ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული მოქმედების (გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის) კანონიერება, რადროსაც საერთო განსჯადობის წესების საფუძველზე სარჩელი უნდა წარედგინოს, განიხილოს და გადაწყვიტოს მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით განსჯადმა სასამართლომ. ვინაიდან მოსარჩელის მიერ გასაჩივრებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, შესაბამისად, ტერიტორიული განსჯადობის გათვალისწინებით განსჯად სასამართლოს წარმოადგენს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადგილსამყოფლის მიხედვით (ქ. თბილისი, წმ. ნიკოლოზის/წ. ჩხეიძის ქ. №2) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია.

სასამართლო წინამდებარე საქმეზე დაეყრდნო საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის №ბს-32-31(გ-14) განჩინებაში ჩამოყალიბებულ სამართლებრივ დასკვნებს და განმარტებებს, კერძოდ, „სასამართლოებმა სადავო აქტების სასამართლო წესით განსჯადობის განსაზღვრისას უნდა დაადგინონ არა ის ფაქტი, თუ რას ეხება განხორციელებული

რეგისტრაცია და სად მდებარეობს სადავო უძრავი ქონება, არამედ აქტის გამოძეგვით ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფლის მიხედვით უნდა გამოარკვიონ, თუ რომელი სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიას განეკუთვნება საქმე განსახილველად“. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მოსარჩელის მიერ სადავოდაა ქცეული მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 25 აგვისტოს №... გადაწყვეტილება, რომლითაც მოსარჩელეს უარი ეთქვა ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული დავის განხილვისას განსაკუთრებული განსჯადობის წესით რუსთავის საქალაქო სასამართლოში არ უნდა მომხდარიყო აღნიშნული საქმის განხილვა და საქმე უნდა განხილული იქნეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში აქტის გამოძეგვით ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფლის მიხედვით.

სასამართლომ მიუთითა, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, განსხვავებით სამოქალაქო სამართალწარმოებისაგან, ამკვიდრებს არა მხოლოდ განსჯადი სასამართლოს პრინციპს, არამედ ადმინისტრაციული კანონმდებლობის მნიშვნელოვან პრინციპს – უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოსათვის კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებას. ადმინისტრაციული კანონმდებლობის აღნიშნული პრინციპი კი ასახვას პოულობს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში (მუხლი 26), კერძოდ, დავის განხილვის და გადაწყვეტის აუცილებლობაში უფლებამოსილი სასამართლოს მიერ. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით მართალია არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს, მაგრამ სასამართლომ მიიჩნია, რომ რუსთავის საქალაქო სასამართლო არ იყო განსჯადი სასამართლო. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავას წყვეტს საკასაციო სასამართლო დასაბუთებული განჩინებით. ამდენად, რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაცი-

ულ საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ იყო უფლებამოსილი და-
ენყო დავა მოცემულ საქმეზე განსჯადობის შესახებ და საქმე
დავის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სა-
სამართლოში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს ამ ეტაპზე წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლო.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე. „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია“ კანონიერ სასამართლოზე ადამიანის უფლებას სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლების შემადგენელ ნაწილად მოიაზრებს (მე-6 მუხ.). კანონიერი სასამართლოს უფლება კი სასამართლოს განსჯადობის ზუსტ განსაზღვრას მოითხოვს.

ამასთან, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ იმ მომენტიდან, როცა სასამართლო არაგანსჯადი ხდება, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილი სასამართლოს ავალდებულებს საქმე გადაუგზავნოს განსჯად სასამართლოს, წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე იქნება არაუფლებამოსილი სასამართლოს მიერ საქმის განხილვა, რაც იწვევს საპროცესო ნორმების იმგვარ დარღვევას, რომელიც სა-
მოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების გაუქ-

მების აბსოლუტური პროცესუალური საფუძველი ხდება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ, ვინაიდან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, აღნიშნული კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, მითითებული ნაწილი შეიცავს სარჩელის ტერიტორიული განსჯადობის განმსაზღვრელ საპროცესო ნორმას და პირდაპირ მიუთითებს, რომ სარჩელი იურიდიული პირის, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის, ორგანოს მიმართ წარედგინება სასამართლოს მისი ადგილსამყოფლის მიხედვით და შესაბამისად, სარჩელის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს სწორედ ის სასამართლო, რომლის იურისდიქციაც ვრცელდება შესაბამისი მოპასუხის ადგილსამყოფელზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, სახეზეა სასამართლოთა შორის დავა ტერიტორიული განსჯადობის თაობაზე, კერძოდ, განსჯადობა მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით. მ. კ-ის მიერ აღძრულ სარჩელში დავის საგანს წარმოადგენს არა უძრავი ქონება, არამედ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული ქმედება. რადროსაც განსჯადობის განსაზღვრისას უნდა დადგინდეს არა ის ფაქტი, თუ რას ეხება გამოცემული აქტები და სად მდებარეობს სადავო უძრავი ქონება, არამედ აქტების გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფლის მიხედვით უნდა გაირკვეს, თუ რომელი სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიას განეკუთვნება საქმე განსახილველად, მით უფრო მაშინ, როდესაც განსახილველ შემთხვევაში ადმინისტრაციული დავის საგანს წარმოადგენს არა უძრავ ნივთებთან დაკავშირებული კონფლიქტი, არამედ სარჩელის ობიექტია – ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული მოქმედების (გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის) კანონიერება, რადროსაც საერთო განსჯადობის წესების საფუძველზე სარჩელი უნ-

და წარედგინოს, განიხილოს და გადაწყვიტოს მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით განსჯადმა სასამართლომ.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის (ნივთობრივი განსჯადობა) პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან გათავისუფლების შესახებ, აგრეთვე, ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთებზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფლის მიხედვით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის პირველი ნაწილის ანალიზი ნათლად გვიჩვენებს, რომ დასახელებული საპროცესო ნორმა ადგენს სპეციალურ განსჯადობას და იძლევა შესაძლებლობას, შესაბამისი სუბიექტური და ობიექტური გარემოებების არსებობისას, განსჯადი სასამართლო განისაზღვროს უძრავი ნივთის ფაქტობრივი ადგილსამყოფლის მიხედვით.

განსახილველ საქმეში მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო არის – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, ხოლო დავის საგანს წარმოადგენს: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, კერძოდ გასაჩივრებულია ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 25 აგვისტოს №... გადაწყვეტილება. ამასთან, მოსარჩელე ითხოვს გამოიცეს ახალი ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტი – 02.01.04.480; 02.01.04.481; 02.01.04.088; 02.01.04.605 და 02.01.04.089 საკადასტრო კოდეზით დარეგისტრირებული მიწის ნაკვეთების მდებარეობის შესწორების მიზნით, ქაღალდისა და ელექტრონული ვერსიების სახით შედგენილი საკადასტრო რუკების მიხედვით. საგულისხმოა, რომ მითითებული საკადასტრო კოდეზით მიწის ნაკვეთები მდებარეობს ქ. რუსთავის ტერიტორიაზე და მათზე უფლების რეგისტრაცია განხორციელებულია რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ. საქმის მასალებით დასტურდება, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 25 აგვისტოს გადაწყვეტილება გამოტანილია (საკადასტრო კოდეზი: 02.01.04.480; 02.01.04.481; 02.01.04.088; 02.01.04.605 და 02.01.04.089) უფლების რეგისტრაციის შესახებ რუსთავის სარეგისტრაციო სამსა-

ხურის გადანყვეტილებების გაუქმების შესახებ მოთხოვნაზე, ხოლო სარჩელში მოპასუხედ მითითებულია ადმინისტრაციული ორგანო – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, რომლის იურიდიული მისამართია, ქ. თბილისი, წმინდა ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის №2. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სასამართლოებმა სადავო აქტების თაობაზე სასამართლო წესით განსჯადობის განსაზღვრისას უნდა დაადგინონ არა ის ფაქტი, თუ რას ეხება განხორციელებული რეგისტრაცია და სად მდებარეობს სადავო უძრავი ქონება, არამედ აქტის გამოცემი ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფლის მიხედვით უნდა გამოარკვიონ, თუ რომელი სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიას განეკუთვნება საქმე განსახილველად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქმეში დავის საგანს წარმოადგენს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ორგანოს გადანყვეტილებების კანონიერება. აღნიშნულის გამო, გამოყენებულ უნდა იქნეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის საფუძველზე დადგენილი საერთო განსჯადობის წესები. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მოსარჩელის მიერ ამ ეტაპზე სადავოდ ქცეული აქტების მიმართ დასახელებულია მხოლოდ ერთი მოპასუხე – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, აღნიშნული საქმე ამ ეტაპზე წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ კოლეგიის განსჯად დავას აქტის გამოცემი ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფლის მიხედვით. ამასთან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს ადმინისტრაციული სამართალწარმოების ისეთ მნიშვნელოვან პრინციპს, როგორცაა დისპოზიციურობის პრინციპი. ეს უკანასკნელი სამართალწარმოებაში წარმოადგენს საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ და მხარეთა გარანტირებულ შესაძლებლობას, თავისუფლად ისარგებლონ თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებებით ან განკარგონ ისინი. დისპოზიციურობის პრინციპის ერთ-ერთი გამოვლინებაა მხარეთა თავისუფალი ნება, დარღვეული უფლებების აღდგენის მოთხოვნით სარჩელი აღძრან სასამართლოში და მიუთითონ მოპასუხე, რომელმაც პასუხი უნდა აგოს სასარჩელო მოთხოვნაზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის თანახმად, სასამართლომ უნდა დაადგინოს აღძრულია თუ არა სარჩელი იმ პირის წინააღმდეგ, რომელმაც პასუხი უნდა აგოს სარჩელზე ან

სწორად აქვს თუ არა მოსარჩელეს ყველა სასარჩელო მოთხოვნის მიმართ დასახელებული მოპასუხე. მითითებულ მუხლში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ სასამართლო მხოლოდ მოსარჩელის თანხმობითაა უფლებამოსილი თავდაპირველი მოპასუხე შეცვალოს სათანადო მოპასუხით. მოცემულ შემთხვევაში, საკადასტრო კოდები: 02.01.04.480; 02.01.04.481; 02.01.04.088; 02.01.04.605 და 02.01.04.089 რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე, მოსარჩელის მოთხოვნის მიმართ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო წარმოადგენს არასათანადო მოპასუხეს, რადგან მოსარჩელის მიერ სადავოდ გამხდარი უფლების რეგისტრაციის შესახებ ჩანაწერები განხორციელებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს რუსთავის სარეესტრაციო სამსახურის მიერ, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საპროცესო კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში თბილისის საქალაქო სასამართლომ მოსარჩელეს უნდა დააზუსტებინოს მისი თითოეული სასარჩელო მოთხოვნის მიმართ მოპასუხე და იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე მისი რომელიმე სასარჩელო მოთხოვნის მიმართ მოპასუხედ დაასახელებს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს რუსთავის სარეესტრაციო სამსახურს, თბილისის საქალაქო სასამართლომ ხელახლა უნდა განიხილოს სარჩელის განსჯადობის საკითხი და საქმე განსახილველად გადაგზავნოს განსჯად – რუსთავის საქალაქო სასამართლოში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ ეტაპზე მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლო, რის გამოც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, მ. კ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 285-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. მ. კ-ის სარჩელი მოპასუხე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ ამ ეტაპზე განსჯადობით განსახილ-

ველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ტერიტორიული განსჯადობა

განჩინება

№ბს-3-3(გ-15)

26 მარტი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

2014 წლის 19 დეკემბერს ჩ. მ-მა სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხეების – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის, რომლითაც სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის 2014 წლის 17 სექტემბრის №... გადაწყვეტილების სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 27 ნოემბრის №... გადაწყვეტილების ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ბათილად ცნობა და ჩ. და ჩა. მ-ების სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხვის შესახებ გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურისათვის ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალდებულება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 23 დეკემბრის განჩინებით ჩ. მ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა რუსთავის საქალაქო სასამართლოს შემდეგი მოტივაციით:

სასამართლოს განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო

საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლი განსაზღვრავს ტერიტორიული განსჯადობის საერთო წესს. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

სასამართლოს განმარტებით, მართალია მოპასუხედ დასახელებული ადმინისტრაციული ორგანოს იურიდიული მისამართია ქ. თბილისი, თუმცა დავის საგანი მოიცავს არა მხოლოდ მისი გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შეფასებას, არამედ განსჯადი სასამართლოს მიერ ერთობლივად უნდა შეფასდეს, როგორც გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის გადაწყვეტილების, ასევე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილების (საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ) კანონიერება.

ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელის განხილვა უნდა მოხდეს იმ სასამართლოს მიერ, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახური, რასაც მოცემულ შემთხვევაში რუსთავის საქალაქო სასამართლო წარმოადგენს.

რუსთავის საქალაქო სასამართლო 2014 წლის 30 დეკემბრის განჩინებით არ დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.2 მუხლის საფუძველზე წამოიწყო დავა განსჯადობის თაობაზე და საქმე განსჯადობის გადასაწყვეტად გადმოუგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლი განსაზღვრავს ტერიტორიული განსჯადობის საერთო წესს, რომლის პირველი მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით.

მოცემულ საქმეზე მოსარჩელე მოპასუხედ ასახელებს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურს, ხოლო სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს სსიპ სა-

ჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის 2014 წლის 17 სექტემბრის №...-03 გადაწყვეტილებისა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 27 ნოემბრის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურისათვის ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალდებულება.

სასამართლომ აღნიშნა, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის 2014 წლის 17 სექტემბრის №...-03 გადაწყვეტილება მოსარჩელის მიერ გასაჩივრებულია ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის გზით ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში, რომლის მიერაც საჩივარი არ იქნა განხილული საჩივრის წარდგენის კანონით დადგენილი ვადის გასვლის გამო.

სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელის მიერ გასაჩივრებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. შესაბამისად, ტერიტორიული განსჯადობის გათვალისწინებით განსჯად სასამართლოს წარმოადგენს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადგილსამყოფელის მიხედვით (ქ. თბილისი, წმ. ნიკოლოზის/ნ.ჩხეიძის ქ. №2) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3. მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიიჩნევს, რომ ჩ. მ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს რუსთავის საქალაქო სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ არსებითად სწორად განსაზღვრა მოცემული დავის განსჯადობის საკითხი და მართებულად მიიჩნია საქმე რუსთავის საქალაქო სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ დავად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის 1-ლი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განი-

ხილოს და გადაწყვეტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ, თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ხსენებული მუხლი შეიცავს ტერიტორიული განსჯადობის განმსაზღვრელ საპროცესო ნორმას და პირდაპირ მიუთითებს, რომ სარჩელი იურიდიული პირის მიმართ წარედგინება სასამართლოს მისი ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

მოცემულ შემთხვევაში დავის საგანია:

1. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის 2014 წლის 17 სექტემბრის №... გადაწყვეტილების სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ ბათილად ცნობა;

2. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 27 ნოემბრის №... გადაწყვეტილების ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ბათილად ცნობა;

3. ჩ. და ჩა. მ-ების სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხვის შესახებ გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურისათვის ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალდებულება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სასკ-ის 26.3 მუხლით გათვალისწინებული სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავა ითვალისწინებს სასამართლოებს შორის დავას საგნობრივი, ან/და ტერიტორიული განსჯადობის საკითხზე. იმის გათვალისწინებით, რომ ორივე სადავო აქტი, კერძოდ, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის 2014 წლის 17 სექტემბრის №... გადაწყვეტილება და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 27 ნოემბრის №... გადაწყვეტილება ერთი და იგივე სამარ-

თალურთიერთობას ეხება, მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოები – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახური და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო არიან ერთიანი სისტემის ქვედა და ზედა ორგანოები. ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა დედაქალაქის სასამართლოში თავმოყრის ტენდენციის შესუსტების მიზნით, სასამართლო პროცესის ეკონომიურობის, მართმსაჯულების ადგილზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით საქმის განხილვა უნდა მოხდეს ძირითადი აქტის გამომტანი ადგილობრივი ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფლის მიხედვით.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სადავო აქტი გამოცემულია ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის შედეგად. ადმინისტრაციული საჩივარი ადმინისტრაციული ორგანოსათვის არის საქმიანობის თვითკონტროლის საშუალება, ადმინისტრაციული წარმოების მომწესრიგებელი კანონმდებლობა ადგენს არა მხოლოდ პოზიტიურ, უდავო, არამედ ნეგატიურ, სადავო ურთიერთობების გადამჭრელ პროცედურებს მოქალაქესა და ადმინისტრაციას შორის, საჩივარი არის პირის უფლების დაცვის საშუალება, ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის პროცესში ადმინისტრაციული ორგანო ამონებს სადავო აქტის გამოცემის სამართლებრივ და ფაქტობრივ გარემოებებს, მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციულმა ორგანომ დაადასტურა ქვემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მართლზომიერება. ამასთან, მოსარჩელე ჩ. და ჩა. მ-ების სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხვის შესახებ გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურისათვის ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალდებულებას ითხოვს.

საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება რუსთავის საქალაქო სასამართლოს მითითებას, რომ ტერიტორიული განსჯადობის გათვალისწინებით მხოლოდ ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადგილსამყოფლის (ქ. თბილისი, წმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ. №2) მიხედვით სარჩელი განიხილოს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მსჯელობას, რომ სარჩელის განხილვა უნდა მოხდეს იმ სასამართლოს მიერ, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახური, რასაც მოცემულ შემთხვე-

ვაში წარმოადგენს რუსთავის საქალაქო სასამართლო.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; 2.1; 26.3, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ჩ. მ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს რუსთავის საქალაქო სასამართლოს;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ტერიტორიული განსჯადობა

განჩინება

№ბს-721-707(გ-14)

16 აპრილი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: **ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**
მ. ვაჩაძე
ლ. მურუსიძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზეპირი მოსმენის გარეშე, განიხილა მოქალაქე მ. ქ-ის სარჩელთან დაკავშირებით დავა, მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წინააღმდეგ, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოსა და რუსთავის რაიონულ სასამართლოს შორის.

აღწერილობითი ნაწილი:

მ. ქ-ემ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამარ-

თლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ და მოითხოვა სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის 14.08.2014წ. გადანყვეტილებისა და ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 03.10.2014წ. გადანყვეტილების ბათილად ცნობა.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ 08.08.2014წ. მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურს გარდაბნის რაიონის სოფ. ... მის საკუთრებაში არსებულ 0,18 ჰა. მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციასთან დაკავშირებით და წარადგინა კანონით დადგენილი დოკუმენტები. გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურმა საქმის წარმოება შეაჩერა 14.08.2014 გადანყვეტილებით და დამატებით მოითხოვა მართლზომიერი მფლობელობის ან საკუთრების უფლების დამდგენი სხვა დოკუმენტი, თუმცა კონკრეტულ დოკუმენტზე არ მიუთითებია. მოსარჩელე აღნიშნავს, რომ სხვა დოკუმენტი არ არსებობს, მიღება-ჩაბარების აქტი საერთოდ არ გაცემულა, რასაც ადასტურებს გარდაბნის მუნიციპალიტეტის საარქივო ცნობა. მოსარჩელე აღნიშნავს, რომ სააგენტოს გადანყვეტილების მიხედვით უძრავი ქონების რეგისტრაცია ხორციელდება ორი გზით: საკუთრების უფლების რეგისტრაციით ან საკუთრების უფლების აღიარების შედეგად საკუთრების უფლების რეგისტრაციით. მან მიმართა გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აღიარების კომისიას, რომელმაც უარი უთხრა იმ საფუძლით, რომ ნაკვეთის რეგისტრაცია უნდა განახორციელოს საჯარო რეესტრმა. მოსარჩელე თვლის, რომ სააგენტომ მხედველობაში არ მიიღო საქართველოს პრეზიდენტის 16.05.1999წ. №327 ბრძანებულებით გათვალისწინებული დოკუმენტაცია, რის გამოც დარღვეულია მისი საკუთრების უფლება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 24.10.2014წ. განჩინებით მ. ქ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა რუსთავის საქალაქო სასამართლოს. საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ ვინაიდან სადავო უძრავი ნივთი მდებარეობს გარდაბნის მუნიციპალიტეტში, მოცემულ შემთხვევაში, ალტერნატიული განსჯადობის მიხედვით, განსჯად სასამართლოს წარმოადგენს რუსთავის საქალაქო სასამართლო. თბილისის საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 26-

ე მუხლის მე-2 ნაწილზე, სასკ-ის პირველი მუხლის მე-2 ნაწილზე, მე-2 და 26-ე მუხლებზე, სსკ-ის მე-18, 284-ე, 285-ე მუხლებზე და მ. ქ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაუგზავნა რუსთავის საქალაქო სასამართლოს.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 07.11.2014წ. განჩინებით მ. ქ-ის სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის მოთხოვნით განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე. რუსთავის საქალაქო სასამართლომ სსკ-ის მე-3 და მე-15 მუხლებზე მითითებით აღნიშნა, რომ საქმე ეხება საერთო განსჯადობას. ვინაიდან დავის საგანია არა საკუთრება უძრავ ქონებაზე, არამედ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და მოპასუხედ დასახელებულია აქტის გამომცემი ორგანო, სარჩელი უნდა იქნეს განხილული მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით – თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ. სასამართლომ აღნიშნა, რომ სასამართლოებმა სადავო აქტების სასამართლო წესით განსჯადობის განსაზღვრისას უნდა დაადგინონ არა ის, თუ რას ეხება განხორციელებული რეესტრაცია, არამედ აქტების გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოების ადგილსამყოფლის მიხედვით უნდა გამოარკვიონ სასამართლო, რომლის სამოქმედო ტერიტორიასაც განეკუთვნება საქმე განსახილველად (სუს. 04.02.2014წ. განჩინება №ბს-32-31 (გ-14) საქმეზე).

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაცნო საქმის მასალებს, განსჯადობის თაობაზე რუსთავის საქალაქო სასამართლოსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებებს და თვლის, რომ საქმე განსჯადობის მიხედვით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს რუსთავის საქალაქო სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სასკ-ის 26.3 მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვიტოს სასამართლოთა შორის განსჯა-

დობის შესახებ დავა. განსახილველ შემთხვევაში სასამართლოებს შორის განსჯადობასთან დაკავშირებით დავა ეხება არა საგნობრივ, არამედ ტერიტორიული განსჯადობის საკითხს. სასკ-ის 26.3 მუხლით გათვალისწინებული სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის დაშვება ითვალისწინებს სასამართლოებს შორის დავას არა მხოლოდ საგნობრივი, არამედ ტერიტორიული განსჯადობის საკითხზე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებზე ტერიტორიული განსჯადობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ადმინისტრაციული ორგანოების ტერიტორიულ განსჯადობაზე, რომლის მიხედვით კონკრეტულ ტერიტორიაზე უძრავი ქონების ან სამართალურთიერთობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს ის ადმინისტრაციული ორგანო, რომლის ტერიტორიულ საზღვრებში მდებარეობს ეს უძრავი ქონება ან არსებობს სამართლებრივი ურთიერთობა. რაც შეეხება ადმინისტრაციულ კატეგორიის საქმეთა სასამართლოს ტერიტორიულ განსჯადობას, სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე შედის იმ ადმინისტრაციული სასამართლოს კომპეტენციაში, რომლის მოქმედების სფეროშიც აქვს ადგილსამყოფელი მითითებულ ორგანოს. აღნიშნული ეხება აგრეთვე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნის თაობაზე სარჩელებს. სარჩელის სათანადო კავშირი ტერიტორიასთან უნდა დადგინდეს სარჩელის წარდგენის მომენტისთვის. ტერიტორიული განსჯადობის არსი მდგომარეობს პრინციპში, რომლის მიხედვით მოსარჩელე მიმართავს მოპასუხის სასამართლოს. საერთო წესის თანახმად, სარჩელი წარდგენილი უნდა იქნეს მოპასუხის – ადმინისტრაციული ორგანოს ადგილმდებარეობის მიხედვით (სსსკ-ის მე-15 მუხლი). ამდენად, საერთო წესის მიხედვით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ტერიტორიული იურისდიქცია ეკუთვნის იმ სასამართლოს, რომლის მოქმედების ტერიტორიაზეც განლაგებულია ადმინისტრაციული ორგანო. მოცემულ შემთხვევაში დავა ეხება არა უძრავ ქონებას, არამედ უძრავი ქონების რეგისტრაციასთან დაკავშირებით გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ – სამართლებრივ აქტებს (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 03.10.14წ. №... გადაწყვეტილება, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის 14.08.14წ. №... გადაწყვეტილება). ამასთანავე, ადმინისტრაციის ცენტრალიზმის შედეგად აღნიშნული წესი ხშირ შემთხვევაში იწვევს ადმინისტრაციულ საქმე-

თა კონცენტრაციას დედაქალაქში, რაც განაპირობებს ამ წესისაგან გამონაკლისების გათვალისწინებას. ტერიტორიული განსჯადობა წყდება მოპასუხის ადგილმდებარეობის მიხედვით. ტერიტორიულ განსჯადობაზე დავის შემთხვევაში, როგორც წესი, სახეზეა რამდენიმე მოპასუხე. სსკ-ის 16-ე მუხლის თანახმად, ტერიტორიული განსჯადობის გადაწყვეტა ხდება ერთ-ერთი მოპასუხის ადგილმდებარეობის მიხედვით. ამასთანავე, განსჯადობის ხსენებული წესი არ ხდის საქმის განსჯადობას დამოკიდებულს მხოლოდ მოსარჩელის ნებასურვილზე, ალტერნატიულობის მიუხედავად კონკრეტული დავის თავისებურება მოქმედებს განსჯადობის საკითხის გადაწყვეტაზე. ასე მაგალითად, უკეთუ ადგილობრივი და ცენტრალური ორგანოს აქტების გაუქმების მოთხოვნით აღძრულ სარჩელში ყურადღება მახვილდება ადმინისტრაციული საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით ცენტრალური ორგანოს მიერ კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევაზე, სასამართლო განსჯადობის საკითხის რაციონალური გადაწყვეტის მოსაზრებები განაპირობებენ საქმის განსჯადობით იმ სასამართლოსადმი დაქვემდებარებას, რომლის იურისდიქციის ტერიტორიაზეც მდებარეობს მოპასუხე ცენტრალური ადმინისტრაციული ორგანო. სასამართლო განსჯადობის საკითხის ამგვარ გადაწყვეტას ადგილი აქვს არა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის შედეგად უქმდება ტერიტორიული ორგანოს აქტი და ზემდგომი ორგანო საჩივრის დაკმაყოფილების გზით გამოსცემს ახალ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, არამედ აგრეთვე იმ შემთხვევაშიც, როდესაც ზემდგომი ორგანოს მიერ ადმინისტრაციული საჩივარი არ კმაყოფილდება და უცვლელად რჩება გასაჩივრებული აქტი. უკანასკნელ შემთხვევაში საქმის დაქვემდებარება ცენტრალური ორგანოს ადგილმდებარეობის მიხედვით შესაძლებელია მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე სასარჩელო მოთხოვნის საფუძველად უთითებს ადმინისტრაციული საჩივრის განხილვისას დაშვებულ დარღვევებს. სხვა შემთხვევაში, ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, გასაჩივრებული აქტის უცვლელად დატოვება, იწვევს განსჯადობის საკითხის გადაწყვეტას ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტზე არსებითი გადაწყვეტილების მიმღები ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფლის მიხედვით, რომლის კანონიერება დადასტურდა ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის შედეგად.

განსახილველ შემთხვევაში დავის საგანი მოიცავს არამხოლოდ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვე-

ტილების, არამედ აგრეთვე სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის გადანყვეტილებას, მოსარჩელე მოითხოვს სააგენტოს და გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის აქტების ბათილად ცნობას. აღნიშნულის მიუხედავად მოსარჩელეს მოპასუხედ დასახელებული ჰყავს მხოლოდ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. მოცემულ შემთხვევაში ორივე სადავო აქტი ერთი და იგივე სამართალურთიერთობას ეხება, სადავო აქტების გამოცემი ადმინისტრაციული ორგანოები – საჯარო რეესტრის ერთიანი სისტემის ქვედა და ზედა რგოლის ორგანოებია. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სადავო აქტი გამოცემულია ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის შედეგად, ადმინისტრაციული საჩივარი ადმინისტრაციული ორგანოებისათვის არის საქმიანობის თვითკონტროლის, ხოლო საჩივრის ავტორისთვის – მისი უფლების და კანონიერი ინტერესის დაცვის საშუალება. ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის პროცესში ადმინისტრაციული ორგანო ამომწმებს სადავო აქტის გამოცემის სამართლებრივ და ფაქტობრივ გარემოებებს, გასაჩივრებული აქტის კანონიერებას და მიზანშეწონილობას. მოცემულ შემთხვევაში ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სადავო აქტით არ მიუღია ახალი, გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის გადანყვეტილებისაგან განსხვავებული გადანყვეტილება, მას არ შეუტანია რაიმე ცვლილება გასაჩივრებულ აქტში, ამდენად, სააგენტოს არ მიუღია არსებითი გადანყვეტილება, თავისი აქტით მან მხოლოდ დაადასტურა ქვემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოტანილი აქტის მართლზომიერება.

„ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მონაბობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 25.09.2007წ. №525 ბრძანებულებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლით, მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებაზე უფლებამოსილი ორგანოა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, რომელიც მასზე დაკისრებული ფუნქციების შესრულებას უზრუნველყოფს სტრუქტურული ქვედანაყოფების და ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახურების მეშვეობით. მოცემულ შემთხვევაში საკითხის განხილვაზე და გადანყვეტაზე უფლება-

მოსილ ორგანოს წარმოადგენს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახური. „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-41 მუხლით, სარეგისტრაციო ორგანომ უნდა განახორციელოს მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის საკუთრების რეგისტრაცია. ამავე მუხლზე მითითებით უთხრა უარი მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებაზე გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიამ. აღნიშნულით დასტურდება, რომ მოსარჩელისთვის სასურველი შედეგი სწორედ საჯარო რეესტრის გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ გამოცემულ აქტს მოჰყვება. მოცემული საქმის ტერიტორიული განსჯადობის დადგენისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ სადავო სამართალსა და ერთობა წარმოიშვა მ. ქ-ის მოთხოვნასთან დაკავშირებით გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ სადავო აქტის გამოცემის შედეგად. მოსარჩელე მართალია არ ითხოვს ნაკვეთის მის სახელზე რეგისტრაციის შესახებ აქტის გამოცემის დავალებას, თუმცა აღნიშნავს, რომ სადავო აქტების ბათილად ცნობით სურს მიეცეს თავის სახელზე მიწის ნაკვეთის საჯარო რეესტრში აღრიცხვის შესაძლებლობა. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მ. ქ-ემ მიმართა ადგილობრივ სარეგისტრაციო სამსახურს მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციასთან დაკავშირებით, განმცხადებელი ითხოვდა საკუთრების აღიარების შედეგად ნაკვეთის რეგისტრაციის შესახებ აქტის გამოცემას. მის განცხადებასთან დაკავშირებით სარეგისტრაციო ორგანოს მიერ მიღებული აქტების ბათილად ცნობის მოთხოვნა გულისხმობს ნაკვეთის მის საკუთრებად რეგისტრაციის შესახებ აქტის გამოცემის დავალებასაც. მ. ქ-ე სარჩელში აღნიშნავს აგრეთვე, რომ მორიგებაზე თანახმაა მხოლოდ მიწის ნაკვეთის მის საკუთრებაში რეგისტრირების პირობით. ამდენად, მ. ქ-ის სარჩელის მიზანს წარმოადგენს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ მიწის ნაკვეთის მოსარჩელის სახელზე რეგისტრაციის შესახებ გადამწყვეტილების გამოცემა. სარჩელის მიზანი უკავშირდება გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ აღმჭურველი აქტის გამოცემას. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს აქტის კანონიერების საკითხი განხილული უნდა იქნეს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ გამოცემული აქტის კანონიერების საკითხთან ერ-

თად, ვინაიდან ორივე ერთსა და იმავე სამართალურთიერთობას ეხება.

ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის პროცედურის შედეგად მიღებული აქტი, რომლითაც უცვლელად რჩება გასაჩივრებული აქტი, არ შეიცავს სადავო სამართალურთიერთობის რაიმე ახალ რეგულაციას, ასეთ პირობებში, ადმინისტრაციული ორგანოების სისტემის ერთიანობის მიუხედავად, სადავო სამართალურთიერთობის მონესრიგება ხდება თავდაპირველი აქტით, რაც განაპირობებს დავის სასამართლო განსჯადობის გადაწყვეტას ერთიანი სისტემის ქვედა რგოლის ანუ თავდაპირველი აქტის მიმღები მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფლის მიხედვით, მით უფრო, რომ საჯარო რეესტრის საქმიანობა უმეტესად უკავშირდება არა იმდენად საკუთრივ მართვას, რამდენადაც სახელმწიფო მომსახურების განევას. განსჯადობის შესახებ დავის გადაწყვეტისთვის მხედველობაშია მისაღები აგრეთვე, რომ მოსარჩელის მიზანია არა სადავო აქტების გამოცემამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა, არამედ ხელსაყრელი მდგომარეობის მიღწევა აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალებით (მიკუთვნებითი სარჩელი (სასკ-ის 23-ე მუხლი)). სარჩელის საბოლოო მიზნის მიღწევა შესაძლებელია კანონმდებლობით უფლებამოსილი ტერიტორიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალებით. მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების აღიარების შესახებ აქტის გამოცემაზე უფლებამოსილი ორგანოა საჯარო რეესტრის ტერიტორიული სამსახური. ამასთანავე, შეუძლებელია სასამართლოს გადაწყვეტილებამ აქტის გამოცემის დავალების შესახებ მოახდინოს ზემოქმედება და სათანადო შედეგს მიაღწიოს, თუ ბათილად არ გამოცხადდება ადმინისტრაციული ორგანოს ის აქტი, რომლითაც უარყოფილ იქნა განმცხადებლის მოთხოვნა აქტის გამოცემაზე. გარდა ამისა, იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლითაც დაინტერესებულ პირს უარი ეთქვა აქტის გამოცემაზე, გამოცემულია საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად ცნოს სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაავალოს აქტის გამოცემაზე უფლებამოსილ, მოცემულ შემთხვევაში თავდაპირველი, არსებითი აქტის გამომცემ ადმინისტრაციული ორგანოს ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურს საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და შე-

ფასების შემდეგ გამოსცეს ახალი აქტი (სასკ-ის 32.4 მუხლი).

ზემოაღნიშნული მოსაზრებები საკასაციო სასამართლოს აზრით, ადასტურებენ განსახილველი დავის მოპასუხე ტერიტორიული ადმინისტრაციული ორგანოს მდებარეობის მიხედვით განსჯადობით დაქვემდებარების საჭიროებას. საჯარო რეესტრის შიდა ორგანიზაცია ხასიათდება მის სტრუქტურებს შორის მყარი ურთიერთკავშირით, რომელიც ქმნის სტრუქტურის ერთიანობას. საჯარო რეესტრის ორგანიზაციული სტრუქტურის ცალკეულ ერთეულებზე დაყოფა, დიფერენციაცია ტერიტორიულ ორგანოებზე განპირობებულია მომსახურების ხელმისაწვდომობის, რაციონალური დატვირთვის, საქმიანობის ეფექტურობისა და სხვა მოსაზრებებით. სტრუქტურის რეგონული ერთეული, სააგენტოსადმი ხაზობრივი დაქვემდებარების, მისი გადანყვეტილების ზემდგომი რგოლის მიერ გადამონმების შესაძლებლობის, სტრუქტურის ვერტიკალური იერარქიულობის მიუხედავად არ კარგავს დამოუკიდებელ მნიშვნელობას. ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის შედეგად დადასტურდა ტერიტორიული ორგანოს აქტის კანონიერება, შესაბამისად ტერიტორიული ორგანოს აქტი ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას, ზემდგომი ორგანოს აქტს არ აქვს მოცემულ შემთხვევაში დამოუკიდებელი მნიშვნელობა, საჩივრის განხილვის შედეგად მიღებული აქტი განიხილება არსებით აქტთან ერთად, ამასთანავე მოსარჩელე სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველად არ უთითებს ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის პროცედურის დარღვევის საკითხებს. ამდენად, უწყების იერარქიული სტრუქტურა, ტერიტორიული ორგანოების დაქვემდებარება ზემდგომისადმი, უკანასკნელის მიერ ქვემდგომის გადამონმების შესაძლებლობა არ იწვევს მექანიკურად ადმინისტრაციული კატეგორიის საქმის სასამართლო განსჯადობის საკითხის გადანყვეტას ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს ადგილმდებარეობის მიხედვით.

სასამართლოებს შორის განსჯადობის საკითხის ამგვარი გადანყვეტა ხელს უწყობს მართლმსაჯულების ადგილზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, პროცესის ეკონომიურობას და ოპერატიულობას, ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა დივერსიფიკაციას, სასამართლოებს შორის დატვირთვის თანაბარ განაწილებას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რეგისტრაციის სამსახურის აქტის მნიშვნელობის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა თვლის, რომ მ. ქ-ის სარჩელი განსჯადობით უნდა დაქვემდებაროს რუსთავის საქალაქო სასამართლოს, რომლის იურისდიქციის ტერიტორიაზეც მდებარეობს გარდაბნის

სარეგისტრაციო სამსახური.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, 2.1, 26.3 მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მ. ქ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს რუსთავის საქალაქო სასამართლოს;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ტერიტორიული განსჯადობა

განჩინება

№ბს-189-186(გ-15)

4 ივნისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

2015 წლის 9 მარტს ი. კ-ემ და დ. დ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიმართ, ხოლო მესამე პირად საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო მიუთითეს.

მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ მათ მიმართეს საქართვე-

ლოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დევნილთათვის სახელმწიფო სტრატეგიის ფარგლებში თავშესაფრის გადაცემის თაობაზე იმ საფუძვლით, რომ ი. კ-ე და დ. დ-ი 1991 წლიდან არიან დევნილები ცხინვალისა და აფხაზეთის რეგიონებში.

მოსარჩელეთა მითითებით, განცხადების წარდგენის შემდეგ მათთვის ცნობილი გახდა, რომ მათ გამოყოფილი აქვთ საცხოვრებელი ბინა ქარელში, ... ქ №5, (ყოფ. ... კორ. 1) ბინა 28, რომელშიც რეალურად ცხოვრობს მისი მფლობელი – 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად დევნილი – ტ. ტ-ე თავის დასთან ერთად, ხოლო დ. დ-ი რეგისტრირებულია მამასთან – მ. დ-თან ერთად, ქარელში, ... ქ. №5, ბინა №26-ში. მოსარჩელები აღნიშნავენ, რომ ფართი გამოიყო მხოლოდ მ. დ-ის სახელზე, ისე რომ მოსარჩელეთათვის აღნიშნულის შესახებ არ ყოფილა ცნობილი. ამასთან, მოსარჩელებს აღნიშნულ მისამართზე არასდროს უცხოვრიათ, ხოლო მეუღლესთან – მ. დ-თან მოსარჩელე ი. კ-ე განქორწინებულია 1988 წლიდან.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე, მოსარჩელებმა საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 11 ივნისის №11/06/01 განკარგულების, 2012 წლის 3 ივლისის ნასყიდობის ხელშეკრულების, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ჩანაწერის, მოსარჩელებისათვის საცხოვრებელი ფართის გადაცემაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2015 წლის 18 თებერვლის №01-02/08/4244 აქტის ბათილად ცნობა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსათვის საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების დავალება მოითხოვეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 13 მარტის განჩინებით ი. კ-ისა და დ. დ-ის სარჩელი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიმართ განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა გორის რაიონულ სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელები სასამართლოს წარედგინება ხელშეკრულების შესრულების ადგილის ან იმ ადგილის მიხედვით, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო. მო-

ცემულ შემთხვევაში 2012 წლის 3 ივლისის ხელშეკრულების შესრულების ადგილს ქარელი წარმოადგენდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრებით, მოსარჩელე ითხოვს საცხოვრებელი ბინით დაკმაყოფილებას ქარელში, შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის 1-ლი ნაწილის დანაწესიდან გამომდინარე, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ განსჯად სასამართლოდ გორის რაიონული სასამართლო მიიჩნია.

გორის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 20 მარტის განჩინებით ადმინისტრაციული საქმე ი. კ-ისა და დ. დ-ის სარჩელის გამო, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიმართ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებისა და ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე, სასამართლოს ტერიტორიული განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

გორის რაიონული სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელები სადავოდ ხდიან საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 11 ივნისის №11/06/01 განკარგულებას, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და მ. დ-ს შორის ქარელში, ... ქ. №5-ში მდებარე უძრავ ქონებაზე 2012 წლის 3 ივლისის ნასყიდობის ხელშეკრულებას და ფართით დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2015 წლის 18 თებერვლის აქტს. 2012 წლის 11 ივნისის №11/06/01 განკარგულებისა და 2015 წლის 18 თებერვლის აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოების – საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ადგილსამყოფელია ქალაქი თბილისი. შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფელის მიხედვით.

გორის რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის განსაკუთრებული და ნივთობრივი განსჯადობის შემთხვევა და სარჩელის განსჯადობის საკითხი უნდა გადაწყდეს საერთო განსჯადობის წესების დაცვით, ანუ

მოპასუხის ადგილმდებარეობის მიხედვით.

გორის რაიონულმა სასამართლომ არ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მოსაზრება, რომ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გამომდინარეობს 2012 წლის 3 ივლისის ნასყიდობის ხელშეკრულებიდან, რამდენადაც ნასყიდობის ხელშეკრულებას საფუძვლად უდევს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2010 წლის 16 სექტემბრის №1-1/1537 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულება“ და საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 11 ივნისის №11/06/01 სადავოდ გამხდარი განკარგულება. ის ფაქტი, რომ ერთ-ერთ სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს ქარელში მდებარე უძრავ ქონებაზე დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, მოცემული საქმის ტერიტორიულ განსჯადობაზე გავლენას ვერ მოახდენს, რადგან ამ შემთხვევაში მნიშვნელობა ენიჭება არა ნივთის ადგილსამყოფელს ან ხელშეკრულების შესრულების ადგილს, არამედ სადავო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტების გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოების ადგილსამყოფელს.

გარდა აღნიშნულისა, გორის რაიონული სასამართლოს მითითებით, მოსარჩელები ზოგადად ითხოვენ საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებას და არ უთითებენ კონკრეტულად ქარელის რაიონში ფართის გამოყოფაზე. ამასთან, „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს №1/120-2007 გადაწყვეტილების 53-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ხაშურის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრა ხაშურის, ქარელისა და თიღვის მუნიციპალიტეტის საზღვრებით, ამიტომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჩაითვლება, რომ სარჩელი განხილული უნდა იქნეს უძრავი ნივთისა თუ ნასყიდობის ხელშეკრულების შესრულების ადგილის მიხედვით, სარჩელი განსახილველად ექვემდებარება არა გორის, არამედ ხაშურის რაიონულ სასამართლოს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და გორის რაიონული სასამართლოს მო-

საზრებების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3. მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიაჩნია, რომ მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42.2 მუხლის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე. „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია“ კანონიერ სასამართლოზე ადამიანის უფლებას სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლების შემადგენელ ნაწილად მოიაზრებს (მე-6 მუხ.). კანონიერი სასამართლოს უფლება კი სასამართლოს განსჯადობის ზუსტ განსაზღვრას მოითხოვს.

ამასთან, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი იმპერატიული შინაარსის ნორმაა, რომელიც ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ იმ მომენტიდან, როცა სასამართლო არაგანსჯადი ხდება, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.2. მუხლი სასამართლოს ავალდებულებს საქმე გადაუგზავნოს განსჯად სასამართლოს, წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე იქნება არაუფლებამოსილი სასამართლოს მიერ საქმის განხილვა, რაც იწვევს საპროცესო ნორმების იმგვარ დარღვევას, რომელიც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური პროცესუალური საფუძველი ხდება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ, თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესე-

ბი. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლით რეგლამენტირებულია საერთო განსჯადობის შესახებ წესები. მითითებული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილი თავისი ხასიათით, შინაარსითა და იურიდიული ბუნებით არის ზოგადი და ამავე დროს იმპერატიული ნორმა, რომელიც ერთმნიშვნელოვნად და ცალსახად ადგენს განსჯად საერთო სასამართლოს ტერიტორიული ნიშნის, ანუ მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით.

ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლით რეგლამენტირებულია ნივთობრივი განსჯადობის შესახებ სპეციალური წესები. ხსენებული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი საკუთრების უფლების შესახებ, თუ დავა ეხება უძრავ ნივთზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთის ადგილსამყოფლის მიხედვით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის პირველი ნაწილის ანალიზი ნათლად გვიჩვენებს, რომ დასახელებული საპროცესო ნორმა ადგენს სპეციალურ განსჯადობას და იძლევა შესაძლებლობას, შესაბამისი სუბიექტური და ობიექტური გარემოებების არსებობისას, განსჯადი სასამართლო განისაზღვროს უძრავი ნივთის ფაქტობრივი ადგილსამყოფლის მიხედვით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელები სასამართლოს წარედგინება ხელშეკრულების ადგილის ან იმ ადგილის მიხედვით, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს „სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 11 ივნისის №11/06/01 განკარგულების, მის საფუძველზე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და მ. დ-ს შორის 2012 წლის 3 ივლისს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2012 წლის 3 ივლისს მ. დ-ის სახელზე განხორციელებული რეგისტრაციის, საც-

ხოვრებელი ფართის გადაცემაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2015 წლის 18 თებერვლის №01-02/08/4244 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და მოსარჩელეთა საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსათვის დავალება, ხოლო მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს მისამართია ქ. თბილისი.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მსჯელობას, რომ მოცემული საქმე განხილულ უნდა იქნეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ხელშეკრულების შესრულების ადგილის მიხედვით, რამდენადაც მოცემულ დავაზე სასარჩელო განცხადება აერთიანებს კუმულაციურ მოთხოვნებს, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების, მის საფუძველზე გამოცემული ადმინისტრაციული ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და ქმედების განხორციელების დავალების შესახებ. შესაბამისად, მოცემული დავის განსჯადობის საკითხი არ უნდა გადაწყდეს მხოლოდ ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ მოთხოვნის გათვალისწინებით, მით უფრო, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და მ. დ-ს შორის 2012 წლის 3 ივლისს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.1 პუნქტი შეიცავს მხარეთა შეთანხმებას ხელშეკრულებიდან წარმოშობილი სადავო საკითხების საერთო განსჯადობის წესების დაცვით გადაწყვეტის შესახებ.

ამდენად, საკასაციო სასამართლო ეთანხმება გორის რაიონული სასამართლოს მსჯელობას იმასთან დაკავშირებით, რომ განსახილველ შემთხვევაში საერთო განსჯადობის წესების საფუძველზე სარჩელი უნდა წარედგინოს, განიხილოს და გადანყვიტოს მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით განსჯადმა სასამართლომ. შესაბამისად, იქიდან გამომდინარე, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფელია ქ. თბილისი, მოცემულ საქმეზე ტერიტორიული განსჯადობის გათვალისწინებით განსჯად სასამართლოს წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში სარჩელი მოპასუხის ადგილსამყოფლის მი-

ხედვით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ი. კ-ისა და დ. დ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ტერიტორიული განსჯადობა

განჩინება

№ბს-217-213(გ-15)

4 ივნისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ლ. მურუსიძე**

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

2015 წლის 25 თებერვალს ვ. ლ-ამ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2014 წლის 21 ოქტომბერს მან

განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წალკის სარეგისტრაციო სამსახურს და მოითხოვა მემკვიდრეობის საფუძველზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია წალკაში, ... ქ. №85-ში მდებარე უძრავ ნივთზე (საკადასტრო კოდი ...). წალკის სარეგისტრაციო სამსახურის 2014 წლის 7 ნოემბრის №... გადაწყვეტილებით სარეგისტრაციო წარმოება შეჩერდა იმ საფუძველით, რომ ს. ლ-ას სახელზე სადავო უძრავი ქონების რეგისტრაციასთან დაკავშირებით სარეგისტრაციო სამსახურში დაცული სააღრიცხვო ბარათი ხელმოუწერელი იყო და არ დგინდებოდა რეგისტრაციის ფაქტი. შესაბამისად, სარეგისტრაციო სამსახურში დამატებით წარსადგენი იყო 2001 წელს გაცემული ამონაწერის დედანი ან დამოწმებული ასლი ან დამატებითი მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა ს. ლ-ას უფლებას უძრავ ქონებაზე.

მოსარჩელის განმარტებით, მან 2014 წლის 20 ოქტომბერს მიიღო სამკვიდრო მონაწილე გარდაცვლილი მეუღლის – ს. ლ-ის დანაშთ ქონებაზე, რომელზეც საკუთრების უფლება დასტურდება საჯარო რეესტრის ჩანაწერით, რომლის ნამდვილობა სადავოდ არ გამხდარა ს. ლ-ის სიცოცხლეში.

მოსარჩელემ წალკის სარეგისტრაციო სამსახურის 2014 წლის 7 ნოემბრის №... გადაწყვეტილება გაასაჩივრა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ საჩივრის განხილვამდე, წალკის სარეგისტრაციო სამსახურის 2014 წლის 9 დეკემბრის №... გადაწყვეტილებით ვ. ლ-ას განცხადებაზე სარეგისტრაციო წარმოება შეწყდა.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ვ. ლ-ას ადმინისტრაციული საჩივარი; ბათილად იქნა ცნობილი სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ წალკის სარეგისტრაციო სამსახურის 2014 წლის 7 ნოემბრის №..., სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ 2014 წლის 9 დეკემბრის №... გადაწყვეტილებები და წალკაში, ... ქ. №85-ში მდებარე უძრავ ნივთზე (საკადასტრო კოდი ...) ს. ლ-ას რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაციის შესახებ 2011 წლის 2 ნოემბრის №... გადაწყვეტილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა მოითხოვა ს. ლ-ას სახელზე უძრავი ქონების რეგისტრაციის შესახებ წალკის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 2 ნოემბრის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ნაწილში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 27 თებერვლის განჩინებით ვ. ლ-ას სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თეთრინყაროს რაიონულ სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, სარჩელი იურიდიული პირის მიმართ კი სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. ამავ კოდექსის მე-16 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სარჩელი რამდენიმე მოპასუხის მიმართ სასამართლოს წარედგინება ერთ-ერთი მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ მოპასუხედ დასახელებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის პირველი ნაწილი ადგენს განსაკუთრებულ განსჯადობას, რომლის თანახმად, სარჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან გათავისუფლების შესახებ, აგრეთვე ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთებზე, მათ შორის მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფლის მიხედვით.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, მითითებული ნორმა ადგენს სპეციალურ განსჯადობას და იძლევა შესაძლებლობას შესაბამისი სუბიექტური და ობიექტური გარემოებების არსებობისას განსჯადი სასამართლო განისაზღვროს უძრავი ნივთის ფაქტობრივი ადგილმდებარეობის მიხედვით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მითითებით, მოსარჩელე სადავოდ ხდის წალკაში, ... ქუჩა №85-ში მდებარე უძრავი ნივთის რეგისტრაციასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერების საკითხს. შესაბამისად, მოცემული საქმის განხილვისას შესწავლილ უნდა იქნეს რამდენად მართებულად იქნა მიღებული გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების დროს. საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელის განხილვა უნდა მოხდეს იმ სასამართლოს მიერ, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობს სადავო უძრავი ქონება.

თეთრინყაროს რაიონული სასამართლოს 2015 წლის 1 აპრი-

ლის განჩინებით ვ. ლ-ას სარჩელი მოპასუხის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ, საქმის მასალებთან ერთად განსჯადობის შესახებ სასამართლოთა შორის დავის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს არა უძრავი ქონება, არამედ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული ქმედების შედეგად გამოცემული ინდივიდუალურ ადმინისტრაციული აქტი, რა დროსაც განსჯადობის განსაზღვრისას უნდა დადგინდეს არა ის ფაქტი, თუ რას ეხება მოცემული აქტები და სად მდებარეობს სადავო უძრავი ქონება, არამედ აქტების გამოცემი ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფლის მიხედვით უნდა გაირკვეს, თუ რომელი სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიას განეკუთვნება ადმინისტრაციული საქმე განსახილველად, მით უფრო, რომ განსახილველ შემთხვევაში ადმინისტრაციული დავის საგანს წარმოადგენს არა უძრავ ნივთებთან დაკავშირებული კონფლიქტი, არამედ სარჩელის ობიექტია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება, რა დროსაც საერთო განსჯადობის წესების საფუძველზე სარჩელი უნდა წარედგინოს სასამართლოს მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს მოსაზრებების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3. მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიაჩნია, რომ მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თეთრიწყაროს რაიონულმა სასამართლომ არსებითად სწორად განსაზღვრა მოცემული დავის განსჯადობის საკითხი და მართებულად მიიჩნია საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯად დავად.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს

კონსტიტუციის 42.2 მუხლის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე. „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია“ კანონიერ სასამართლოზე ადამიანის უფლებას სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლების შემადგენელ ნაწილად მოიაზრებს (მე-6 მუხ.). კანონიერი სასამართლოს უფლება კი სასამართლოს განსჯადობის ზუსტ განსაზღვრას მოითხოვს.

ამასთან, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი იმპერატიული შინაარსის ნორმაა, რომელიც ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ იმ მომენტიდან, როცა სასამართლო არაგანსჯადი ხდება, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.2. მუხლი სასამართლოს ავალდებულებს საქმე გადაუგზავნოს განსჯად სასამართლოს, წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე იქნება არაუფლებამოსილი სასამართლოს მიერ საქმის განხილვა, რაც იწვევს საპროცესო ნორმების იმგვარ დარღვევას, რომელიც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394 „ა“ მუხლის თანახმად, სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური პროცესუალური საფუძველი ხდება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლით რეგლამენტირებულია საერთო განსჯადობის შესახებ წესები. მითითებული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილი

თავისი ხასიათით, შინაარსითა და იურიდიული ბუნებით არის ზოგადი და ამავე დროს იმპერატიული ნორმა, რომელიც ერთმნიშვნელოვნად და ცალსახად ადგენს განსჯად საერთო სასამართლოს ტერიტორიული ნიშნის, ანუ მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით.

საკასაციო სასამართლო საქმეზე დადგენილად მიიჩნევს (რასაც თავად სასარჩელო მოთხოვნაც ადასტურებს), რომ დავის საგანი ეხება არა უძრავ ნივთზე უფლებას, არამედ, მხოლოდ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერებას, რა დროსაც სასამართლოებმა წარმოდგენილი სარჩელის სასამართლო წესით განსჯადობის განსაზღვრისას უნდა დაადგინონ არა ის ფაქტი, თუ სად მდებარეობს უძრავი ქონება და რას ეხება სადავო აქტები, არამედ აქტების გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოების მიხედვით უნდა გამოარკვიონ თუ რომელი სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიას განეკუთვნება საქმე განსახილველად. ამდენად, საკასაციო სასამართლო ეთანხმება თეთრინყაროს რაიონული სასამართლოს მსჯელობას იმასთან დაკავშირებით, რომ განსახილველ შემთხვევაში ადმინისტრაციული დავის საგანს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება, რა დროსაც საერთო განსჯადობის წესების საფუძველზე სარჩელი უნდა წარედგინოს, განიხილოს და გადაწყვიტოს მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით განსჯადმა სასამართლომ. შესაბამისად, იქიდან გამომდინარე, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადგილსამყოფელია ქ. თბილისი, მოცემულ საქმეზე ტერიტორიული განსჯადობის გათვალისწინებით განსჯად სასამართლოს წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში სარჩელი მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

დაადგინა:

1. ვ. ლ-ას სარჩელი მოპასუხის – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ტერიტორიული განსჯადობა

განჩინება

№ბს-280-276(გ-15)

4 ივნისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

2015 წლის 10 თებერვალს შპს „...“ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელის მითითებით, საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 21 დეკემბრის №922 განკარგულებით სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შესაბამისი უძრავი ქონება პირდაპირი მიყიდვის წესით უნდა გადასცემოდა შპს „...“. 2010 წლის 17 თებერვალს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და შპს „...“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება, ხოლო 2010 წლის 5 მაისს გაიცა საკუთრების მონმოზა.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 24 მარტის №1-1/427 ბრძანებით მოიშალა 2010 წლის 17 თებერვლის ხელშეკრულება, ხოლო საქართვე-

ლოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 20 აპრილის №1-1/635 ბრძანებით ძალადაკარგულად გამოცხადდა ხელშეკრულების მოშლის შესახებ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 24 მარტის №1-1/427 ბრძანება.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 4 ივნისის №1-1/1276 ბრძანებით შეწყდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და შპს „...“ შორის 2010 წლის 17 თებერვალს გაფორმებული ხელშეკრულება. აღნიშნული ბრძანების საფუძველზე შპს „...“ ჩამოერთვა საკუთრება. ამავე ბრძანებით სახელმწიფო ქონების მართვის პოლიტიკის დეპარტამენტს დაევალა შესაბამისი ქონების დაბრუნებისა და სახელმწიფო ქონების რეგისტრაციასთან დაკავშირებული კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილის 2012 წლის 31 ივლისის №1-1/1595 ბრძანებით სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება შეტანილ იქნა სს „...“ კაპიტალში.

2014 წლის 11 სექტემბერს შპს „...“ განცხადებით მიმართა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 4 ივნისის №1-1/1276 ბრძანების არარად აღიარების მოთხოვნით, თუმცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სადავო საკითხთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ გამოუცია.

მოსარჩელის მითითებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემისთანავე ითვლება არარად, თუ იგი გამოცემულია არაუფლებამოსილი ორგანოს ან არაუფლებამოსილი პირის მიერ.

მოსარჩელის განმარტებით, სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია არაუფლებამოსილი პირის – მინისტრის მოადგილის მიერ, რომელსაც არ ჰქონდა სადავო ბრძანების გამოცემის უფლებამოსილება. ამასთან, არ არსებობდა სადავო აქტის გამოცემის სამართლებრივი საფუძველი, რამდენადაც მისი გამოცემის მომენტისათვის არ მოქმედებდა „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-6 პუნქტი, რომლის თანახმად, სახელმწიფო ქონების პრივატიზების მიზნით დადებული ნასყიდობის

ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობების დარღვევის გამო ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის შემთხვევაში პრივატიზებული ქონება ბრუნდება სახელმწიფო საკუთრებაში, ხოლო ამ ქონებაზე რეგისტრირებული მესამე პირის (პირთა) იპოთეკის უფლება (უფლებები) უქმდება, თუ ქონების იპოთეკით დატვირთვამდე საჯარო რეესტრში უძრავი ნივთის შესახებ ჩანაწერში რეგისტრირებულია საპრივატიზებო ვალდებულების (ვალდებულებების) ამსახველი შესაბამისი ინფორმაცია. ამასთანავე, ქონების შემძენს სახელმწიფო არ აუნაზღაურებს გადახდილ თანხებს და განუელ ხარჯებს“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2012 წლის 4 ივნისის №1-1/1276 ბრძანების არარად აღიარება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 11 თებერვლის განჩინებით შპს „...“ სასარჩელო განცხადება მოპასუხე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2012 წლის 4 ივნისის №1-1/1276 ბრძანების არარად აღიარების შესახებ, განსახილველად გადაეგზავნა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. ამავ კოდექსის მე-18 მუხლის თანახმად, სარჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან განთავისუფლების შესახებ, აგრეთვე ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთებზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთებზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთის ადგილსამყოფლის მიხედვით.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც ზემოხსენებული საპროცესო ნორმების შესაბამისად უფლებამოსილია გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. განსახილველ შემთხვევაში, სადავო უძრავი ქონების ადგილსამყოფელია ზუგდიდი და ხობი, რის გამოც საქალაქო სასა-

მართლმომიჩნია, რომ შპს „...“ სასარჩელო განცხადება განსჯადობით განსახილველად ექვემდებარება ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს.

მოსარჩელემ დაზუსტებული სარჩელით მიმართა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს, მესამე პირებად მიუთითა სს „...“ და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 21 აპრილის განჩინებით მოცემული საქმე განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას გადმოეგზავნა.

ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ არ გაიზიარა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მსჯელობა განსჯადობასთან დაკავშირებით და განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე. ამასთან, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამავდროულად მე-2 ნაწილით, არაგანსჯად სამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი სარჩელით დავის საგანს წარმოადგენს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარად აღიარება.

რაიონული სასამართლოს განმარტებით, განსჯადობა გულისხმობს საქმეების კანონის ზუსტად განსაზღვრული წესით განაწილებას ცალკეული სასამართლოების მიხედვით, რაც სასამართლოებს ანიჭებს კომპეტენციას განიხილონ საქმე თავიანთი სამოქმედო ტერიტორიის ფარგლებში. ამ წესის ხელყოფა იწვევს არაუფლებამოსილი სასამართლოს მიერ საქმის განხილვას და შესაბამისად საპროცესო-სამართლებრივი ნორმების იმგვარ დარღვევას, რომელიც სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური პროცესუალური საფუძველია (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ა“ პუნქტი).

რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობა არ იცნობს განსჯადობის მარე-

გულირებელ კონკრეტულ წესებს. ადმინისტრაციული საქმეების ტერიტორიული განსჯადობა უნდა მოწესრიგდეს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით, რითაც რეგლამენტირებულია ტერიტორიული განსჯადობის სხვადასხვა სახეები და წესები, მოცემულ შემთხვევაში უნდა გადაწყდეს შპს „...“ სარჩელის მიმართ უნდა გავრცელდეს საერთო თუ ნივთობრივი განსჯადობის წესები.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მითითებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლით განსაზღვრულია ტერიტორიული განსჯადობის საერთო წესი. მითითებული ნორმა პირდაპირ მიუთითებს, რომ სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება მისი ადგილსამყოფლის მიხედვით.

ამდენად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

რაიონული სასამართლოს განმარტებით, კონკრეტულ შემთხვევაში, საყურადღებოა ამავე კოდექსის მე-18 მუხლის დანაწესი, რომლითაც კანონმდებლის მიერ დადგენილია, რომ სარჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან განთავისუფლების შესახებ, აგრეთვე ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთებზე, მათ შორის, მინის ნაკვეთებზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთის ადგილსამყოფლის მიხედვით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ნივთობრივ განსჯადობას განეკუთვნება სარჩელი, რომელიც მიმართულია უძრავი ნივთის მე-საკუთრის ან მფლობელის წინააღმდეგ, აგრეთვე სარჩელი, რომელიც აღძრულია უძრავი ნივთის დაზიანების ან ზარალის ანაზღაურების გამო.

რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ დაზუსტებული სარჩელის შინაარსიდან ირკვევა, რომ შპს „...“ მიერ სარჩელში მოპასუხედ მითითებულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ასევე მესამე პირებად დასახელებულნი არიან სს „...“ და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, ხოლო სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილის 2012 წლის 4 ივნისის №1-1/1276 ბრძანების

არარად აღიარება იმ საფუძველით, რომ აქტი გამოცემულია არა-უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ და აგრეთვე, აქტის გამოცემის მომენტისთვის არ არსებობდა მისი გამოცემისათვის სამართლებრივი საფუძველი.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს შპს „...“ მიერ აღძრულ სარჩელში დავის საგანს წარმოადგენს არა უძრავი ქონება, არამედ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარად აღიარება, რაც სარჩელის ფაქტობრივი საფუძველების გათვალისწინებით, გულისხმობს სადავო აქტის კანონიერების შემოწმებას. სადავო აქტის კანონთან შესაბამისობის შემოწმება კი წარმოადგენს იმ სასამართლოს კომპეტენციას, რომლის მოქმედების სფეროშიც აქვს ადგილსამყოფელი მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს. აქვე გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ როგორც მოპასუხე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ისე მესამე პირების ადგილსამყოფელია ქ. თბილისი (ჭანტურიას ქ. №12; ... ქ. №6), რაც მიუთითებს საერთო განსჯადობის წესით საქმის განხილვისა და გადაწყვეტის აუცილებლობაზე. შესაბამისად, მოცემულ საქმეზე ტერიტორიული განსაჯადობის წესის გათვალისწინებით განსჯად სასამართლოს წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია და განსჯადობის საგამონაკლისო წესით (ნივთობრივი განსჯადობა) განხილვის საფუძველი არ არსებობს.

ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ ასევე მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ 2013 წლის 9 სექტემბერს მიღებულ განჩინებაზე (საქმე №ბზ-425-414(გ-13), რომლითაც საკასაციო სასამართლოს მიერ განიმარტა, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც ადმინისტრაციული დავის საგანს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერება, საერთო განსჯადობის წესების საფუძველზე სარჩელი უნდა წარედგინოს, განიხილოს და გადაწყვიტოს მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით განსჯადმა სასამართლომ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მოსაზრებების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3. მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების

საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიაჩნია, რომ მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ არსებითად სწორად განსაზღვრა მოცემული დავის განსჯადობის საკითხი და მართებულად მიიჩნია საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯად დავად.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42.2 მუხლის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე. „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია“ კანონიერ სასამართლოზე ადამიანის უფლებას სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლების შემადგენელ ნაწილად მოიაზრებს (მე-6 მუხ.). კანონიერი სასამართლოს უფლება კი სასამართლოს განსჯადობის ზუსტ განსაზღვრას მოითხოვს.

ამასთან, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი იმპერატიული შინაარსის ნორმაა, რომელიც ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ იმ მომენტიდან, როცა სასამართლო არაგანსჯადი ხდება, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.2. მუხლი სასამართლოს ავალდებულებს საქმე გადაუგზავნოს განსჯად სასამართლოს, წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე იქნება არაუფლებამოსილი სასამართლოს მიერ საქმის განხილვა, რაც იწვევს საპროცესო ნორმების იმგვარ დარღვევას, რომელიც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური პროცესუალური საფუძველი ხდება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ, თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყე-

ნება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლით რეგლამენტირებულია საერთო განსჯადობის შესახებ წესები. მითითებული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილი თავისი ხასიათით, შინაარსითა და იურიდიული ბუნებით არის ზოგადი და ამავდროს იმპერატიული ნორმა, რომელიც ერთმნიშვნელოვნად და ცალსახად ადგენს განსჯად საერთო სასამართლოს ტერიტორიული ნიშნის, ანუ მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით.

ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლით რეგლამენტირებულია ნივთობრივი განსჯადობის შესახებ სპეციალური წესები. ხსენებული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი საკუთრების უფლების შესახებ, თუ დავა ეხება უძრავ ნივთზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთის ადგილსამყოფლის მიხედვით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მითითებული საპროცესო ნორმა ადგენს სპეციალურ განსჯადობას და იძლევა შესაძლებლობას, შესაბამისი სუბიექტური და ობიექტური გარემოებების არსებობისას, განსჯადი სასამართლო განისაზღვროს უძრავი ნივთის ფაქტობრივი ადგილსამყოფლის მიხედვით.

განსახილველ საქმეში მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო არის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ხოლო დავის საგანს წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილის 2012 წლის 4 ივლისის №1-1/276 ბრძანების არარად აღიარება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული დავის განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისათვის განმსაზღვრელი არ არის ის ფაქტი, რომ სადავო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილის 2012 წლის 4 ივლისის №1-1/276 ბრძანებით, რომლის არარად აღიარებასაც ითხოვს მოსარჩელე, შეწყდა მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება. მოსარჩელე სარჩელის საფუძვლად უთითებს იმ გარემოებებზე, რომ სადავო აქტი გამოცემულია არაუფლებამოსილი პირის მიერ, ამასთან, არ არსებობდა მისი გამოცემის სამართლებრივი საფუძველი. ანუ მოსარჩელე სა-

დავოდ არ ხდის ხელშეკრულების პირობების შესრულება-შეუსრულებლობას, იგი აქტის გამომცემი პირის არაუფლებამოსილებასთან ერთად აპელირებს აქტის გამომცემის სამართლებრივი საფუძვლების არ არსებობაზე.

ამდენად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ დავის საგანი ეხება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერებას, რა დროსაც სასამართლოებმა წარმოდგენილი სარჩელის სასამართლო წესით განსჯადობის განსაზღვრისას უნდა დაადგინონ არა ის ფაქტი, თუ სად მდებარეობს უძრავი ქონება და რას ეხება სადავო აქტები, არამედ აქტების გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოების მიხედვით უნდა გამოარკვიონ თუ რომელი სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიას განეკუთვნება საქმე განსახილველად. ამდენად, საკასაციო სასამართლო ეთანხმება ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მსჯელობას იმასთან დაკავშირებით, რომ განსახილველ შემთხვევაში ადმინისტრაციული დავის საგანს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამომცემული შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება, რა დროსაც საერთო განსჯადობის წესების საფუძველზე სარჩელი უნდა წარედგინოს, განიხილოს და გადაწყვიტოს მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით განსჯადმა სასამართლომ. შესაბამისად, იქიდან გამომდინარე, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფელია ქ. თბილისი, მოცემულ საქმეზე ტერიტორიული განსჯადობის გათვალისწინებით განსჯად სასამართლოს წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში სარჩელი მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. საქმე შპს „...“ სარჩელის გამო, საქართველოს ეკონომიკი-

სა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ, განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;

2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ტერიტორიული განსჯადობა

განჩინება

№ბს-816-802(გ-14)

23 ივნისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე**

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

2011 წლის 14 დეკემბერს ნ. მ-მა სარჩელით მიმართა ბოლნისის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ და მოითხოვა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2011 წლის 6 სექტემბრის №05/19633 მიმართვის, რომლის საფუძველზეც სახელმწიფო საკუთრებად დარეგისტრირებულ №... მიწის ნაკვეთში დარეგისტრირდა შპს „...“ საკუთრებაში არსებული 200 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, ბათილად ცნობა და მოპასუხის დავალდებულება გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლითაც აღდგება შპს „...“ საკუთრების უფლება სადავო 200 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე.

ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 19 დეკემბრის განჩინებით ნ. მ-ის სასარჩელო განცხადება მოპასუხე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილის დ. გ-ის 2011 წლის 6 სექტემ-

ბრის №05/19633 ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის თაობაზე განსჯადობით გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს.

სასამართლომ მიუთითა, რომ „საერთო სასამართლოების შე-სახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის თანახმად, რაიონული (საქალაქო) სასამართლოების განსჯადობას მიკუთვნებულ საქმეებს განსაზღვრავს საპროცესო კანონი. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად: თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 თავით მოწესრიგებულია სარჩელის განსჯადობასთან დაკავშირებული საკითხები, თუ რომელმა სასამართლომ უნდა განიხილოს სასამართლოსადმი დაქვემდებარებული კონკრეტული საქმე. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით.

სასამართლომ აღნიშნა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩელე სადავოდ ხდის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილის დ. გ-ის 2011 წლის 6 სექტემბრის №05/19633 ადმინისტრაციულ აქტს. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელი ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის თაობაზე არის იმ ადმინისტრაციული სასამართლოს კომპეტენცია, რომლის მოქმედების სფეროშიც აქვს ადგილსამყოფელი მითითებულ ორგანოს. აღნიშნულ დავაში კი, მოპასუხეს წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, ჭავჭავაძის ქ. №12-ში, ამდენად, განსახილველ სასამართლოს წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში დაზუსტებული სარჩელი წარადგინა შპს „...“ მოპასუხეების საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და მ. თ-ის მიმართ და მოითხოვა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2011 წლის 6 სექტემბრის №05/19633 მიმართვის, 2011 წლის 24 ოქტომბრის №1-1/2139 ბრძანების, 2011 წლის 6 დეკემბრის №626 უ.პ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძ-

რავი ნივთის პირობებიანი აუქციონის ფორმით პრივატიზებისას ნასყიდობის ხელშეკრულებისა და 2011 წლის 28 დეკემბრის №1-1/2770 ბრძანების ბათილად ცნობა და მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით №... პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 17 იანვრის განჩინებით შპს „...“ წარმომადგენლის შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 9 თებერვლის განჩინებით მ. თ-ეს უარი ეთქვა ადმინისტრაციულ საქმეში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლით ჩაბმაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 15 თებერვლის განჩინებით შპს „...“ სარჩელზე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2011 წლის 6 სექტემბრის №05/19633 წერილის ბათილად ცნობის ნაწილში შეწყდა საქმის წარმოება სარჩელის დაუშვებლობის გამო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილებით შპს „...“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 9 თებერვლის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა მ. თ-ემ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 15 თებერვლის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა შპს „...“ და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა შპს „...“ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 23 მარტის განჩინებით მ. თ-ის კერძო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 9 თებერვლის განჩინებაზე დარჩა განუხილველად დაუშვებლობის მოტივით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 30 აგვისტოს განჩინებით შპს „...“

სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 23 მარტის განჩინებით შპს „...“ კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 15 თებერვლის განჩინება და საქმე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2011 წლის 6 სექტემბრის №05/19633 წერილის, როგორც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ნაწილში არსებითად განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

2013 წლის 28 აგვისტოს დაზუსტებული სარჩელით მიმართა შპს „...“ მოპასუხეების საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურისა და მ. თის მიმართ და მოითხოვა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2011 წლის 6 სექტემბრის №05/19633 მიმართვის, 2011 წლის 24 ოქტომბრის №1-1/2139 ბრძანების, 2011 წლის 6 დეკემბრის №626 უ.პ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის პირობებიანი აუქციონის ფორმით პრივატიზებისას ნასყიდობის ხელშეკრულებისა და 2011 წლის 28 დეკემბრის №1-1/2770 ბრძანების, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 13 სექტემბრის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით №... პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 28 ივნისის საოქმო განჩინებით დაკმაყოფილდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლის შუამდგომლობა და შპს „...“ სარჩელზე მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 13 სექტემბრის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ნაწილში შეწყდა საქმის წარმოება ხანდაზმულობის მოტივით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილებით შპს „...“ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ეკო-

ნომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2011 წლის 6 სექტემბრის №05/19633 მიმართვა. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაევალა საკითხის განხილვისას შესაბამისი გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2011 წლის 28 დეკემბრის №1-1/2770 ბრძანება შპს „...“ ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 28 ივნისის საოქმო განჩინება საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე კერძო საჩივრით გაასაჩივრა შპს „...“.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა შპს „...“ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ასევე მ. თ-ემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 24 დეკემბრის განჩინებით შპს „...“ კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 28 ივნისის საოქმო განჩინება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილებით მ. თ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც დაკმაყოფილდა შპს „...“ სარჩელი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2011 წლის 28 დეკემბრის №1-1/2770 ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ (გადაწყვეტილების მე-3 პუნქტი); შპს „...“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება იმ ნაწილში,

რომლითაც სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2011 წლის 6 სექტემბრის №05/19633 მიმართვა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაევალა ახალი აქტის გამოცემა (გადაწყვეტილების მე-2 პუნქტი); გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა შპს „...“ სარჩელი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2011 წლის 24 ოქტომბრის №1-1/2139 ბრძანების და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და მ. თ-ეს შორის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის პირობებიანი აუქციონის ფორმით პრივატიზებისას გაფორმებული 2011 წლის 6 დეკემბრის ნასყიდობის №626 უ.პ ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ; შპს „...“ სარჩელი ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა პირველი ინსტანციის სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 7 მაისის განჩინებით შპს „...“ სარჩელი მოპასუხეების: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და მ. თ-ის მიმართ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებისა და ადმინისტრაციული ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ, განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა ბოლნისის რაიონულ სასამართლოს.

სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად: თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. ამავე კოდექსის მე-18 მუხლის შესაბამისად, სარჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვა ან ასეთი დატვირთვისაგან განთავისუფლების შესახებ, აგრეთვე ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი თუ დავა ეხება უძრავ ნივთებზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთის ადგილსამყოფლის მიხედვით.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასამართლოში სარჩელის წარდგენისას დაცულ უნდა იქნეს როგორც საგნობრივი, ისე ტერიტორიული და დარგობრივი განსჯადობის წესები და შესაბამისად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც აღნიშნული საპროცესო ნორმების შესაბამისად, უფლებამოსილია გადანყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. განსახილველ შემთხვევაში, სადავო უძრავი ქონების ადგილსამყოფელია მარნეულის რაიონი, სოფ. რის გამოც სასამართლოს მიაჩნია, რომ შპს „...“ სასარჩელო განცხადება განსჯადობით უნდა გადაეგზავნოს ბოლნისის რაიონულ სასამართლოს დავის სწრაფად და ეფექტურად განხილვისა და გადანყვიტის მიზნით.

ბოლნისის რაიონულ სასამართლოში მოსარჩელე შპს „...“ დაზუსტებული სარჩელი წარადგინა, რომლითაც მოითხოვა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2011 წლის 6 სექტემბრის №05/19633 მიმართვის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2011 წლის 24 ოქტომბრის №1-1/2139 ბრძანების – მარნეულის რაიონში, სოფ. ... მდებარე 322 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ელექტრონული აუქციონის (პირობებიანი) ფორმით პრივატიზების შესახებ, 2011 წლის 7 ნოემბრის ელექტრონული აუქციონის შედეგებისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და მ. თ.-ეს შორის, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის პირობებიანი აუქციონის ფორმით პრივატიზებისას გაფორმებული 2011 წლის 6 დეკემბრის ნასყიდობის №626 უ.პ ხელშეკრულების ბათილად ცნობა; საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 13 სექტემბრის №... გადანყვიტების ბათილად ცნობა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურისათვის მიწის ნაკვეთის შპს „...“ სახელზე აღრიცხვის დავალება.

ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 26 ნოემბრის განჩინებით სასამართლოებს შორის განსჯადობაზე დავის გადასაწყვეტად შპს „...“ სარჩელი გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

რაიონულმა სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს საქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლით განსაზღვრულია ტერიტორიული განსჯადობის საერთო წესი. კერძოდ, დასახელებული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამარ-

თლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. აღნიშნული მუხლი შეიცავს ტერიტორიული განსჯადობის განმსაზღვრელ საპროცესო ნორმას და პირდაპირ მიუთითებს, რომ სარჩელი იურიდიული პირის მიმართ წარედგინება სასამართლოს მისი ადგილსამყოფლის მიხედვით, ანუ აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი. ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის თანახმად, სარჩელი რამდენიმე მოპასუხის მიმართ სასამართლოს წარედგინება ერთ-ერთი მოპასუხის საცხოვრებელი ან იურიდიული სასამართლის მიხედვით. ამავე კოდექსის მე-20 მუხლის თანახმად, განსაზღვრულია განსჯადობა მოსარჩელის არჩევით. კერძოდ, სასამართლოს არჩევის უფლება, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, ეკუთვნის მოსარჩელეს.

რაიონული სასამართლოს განმარტებით, განსახილველ შემთხვევაში, შპს „...“ მიერ აღძრულ სარჩელში დავის საგანს წარმოადგენს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული ქმედება. ასეთ შემთხვევაში კი, განსჯადობის განსაზღვრისას უნდა დადგინდეს არა ის ფაქტი, თუ რას ეხება გამოცემული აქტები და სად მდებარეობს სადავო უძრავი ქონება, არამედ აქტების გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფლის მიხედვით უნდა გაირკვეს, თუ რომელი სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიას განეკუთვნება საქმე განსახილველად, მით უფრო მაშინ, როდესაც განსახილველ შემთხვევაში ადმინისტრაციული დავის საგანს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული მოქმედებების – მათ მიერ გამოცემული შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერება, რა დროსაც საერთო განსჯადობის წესების საფუძველზე სარჩელი უნდა წარედგინოს, განიხილოს და გადაწყვიტოს მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით განსჯადმა სასამართლომ.

რაიონული სასამართლოს მითითებით, შპს „...“ აღძრულ სარჩელში მოპასუხეებად მითითებული ჰყავს – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მარნეულის სარეგისტრაციო სამსახური და მ. თ-ე, ხოლო სასარჩელო მოთხოვნებს წარმო-

ადგენს – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2011 წლის 6 სექტემბრის №05/19633 მიმართვის, მარნეულის რაიონში, სოფ. ... მდებარე 322 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ელექტრონული აუქციონის (პირობებიანი) ფორმით პრივატიზების შესახებ 2011 წლის 24 ოქტომბრის №1-1/2139 ბრძანების ბათილად ცნობა, 2011 წლის 7 ნოემბრის ელექტრონული აუქციონის შედეგების და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და მ. თ-ეს შორის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის პირობებიანი აუქციონის ფორმით პრივატიზებისას გაფორმებული 2011 წლის 13 სექტემბრის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, რომლითაც დაკმაყოფილდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მოთხოვნა სახელმწიფო საკუთრების უფლების რეგისტრაციის თაობაზე უძრავ ნივთზე, მდებარე მარნეულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ... არსებულ 322 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე. შესაბამისად, გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გამოცემულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ, რომლის ადგილსამყოფელია – ქ. თბილისი, ჭანტურიას ქ. №12 და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ, რომლის ადგილსამყოფელია ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. №1. შესაბამისად, რაიონული სასამართლოს განმარტებით, განსჯად სასამართლოს წარმოადგენს როგორც თბილისის საქალაქო, ასევე ბოლნისის რაიონული სასამართლოები. ამასთან, როგორც საქმის მასალებიდან დასტურდება აღნიშნული სარჩელით მოსარჩელემ თავდაპირველად მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს, ვინაიდან, სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლის თანახმად, მან აირჩია სწორედ თბილისის საქალაქო სასამართლო. იგივე დაადასტურეს სასამართლო სხდომაზე მხარეებმა, რომელთა განმარტებითაც დღესაც მიაჩნიათ და სურვილი აქვთ, რომ საქმე განიხილოს თბილისის საქალაქო სასამართლომ, ვინაიდან ძირითადი აქტები, რომლებიც არის გასაჩივრებული და რომლის ბათილად ცნობასაც ითხოვს მოსარჩელე გამოცემულია მოპასუხე – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, ჭანტურიას ქ. №12-ში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ შპს „...“ სარჩელი განხილულ უნდა იქნეს არა ბოლნისის რაიონული სასამართლოს, არამედ თბილი-

სის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ, სადაც როგორც საქმის მასალებით დასტურდება, რამდენჯერმე იქნა კიდევ განხილული იგი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და ბოლნისის სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრებების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3. მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიაჩნია, რომ შპს „...“ სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიაჩნია, რომ ბოლნისის რაიონულმა სასამართლომ არსებითად სწორად განსაზღვრა მოცემული დავის განსჯადობის საკითხი და მართებულად მიიჩნია საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯად ადმინისტრაციულ დავად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის 1-ლი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ხსენებული მუხლი შეიცავს ტერიტორიული განსჯადობის განმსაზღვრელ საპროცესო ნორმას და პირდაპირ მიუთითებს, რომ სარჩელი იურიდიული პირის მიმართ წარედგინება სასამართლოს

მისი ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლით რეგლამენტირებულია ნივთობრივი განსჯადობის შესახებ სპეციალური წესები. ხსენებული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი საკუთრების უფლების შესახებ, თუ დავა ეხება უძრავ ნივთზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთის ადგილსამყოფლის მიხედვით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის პირველი ნაწილის ანალიზი ნათლად გვიჩვენებს, რომ დასახელებული საპროცესო ნორმა ადგენს სპეციალურ განსჯადობას და იძლევა შესაძლებლობას, შესაბამისი სუბიექტური და ობიექტური გარემოებების არსებობისას, განსჯადი სასამართლო განისაზღვროს უძრავი ნივთის ფაქტობრივი ადგილსამყოფლის მიხედვით.

მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს:

1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2011 წლის 6 სექტემბრის №05/19633 მიმართვის ბათილად ცნობა;

2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2011 წლის 24 ოქტომბრის №1-1/2139 ბრძანების – მარნეულის რაიონში, სოფ. ... მდებარე 322 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ელექტრონული აუქციონის (პირობებიანი) ფორმით პრივატიზების შესახებ, ბათილად ცნობა;

3. 2011 წლის 7 ნოემბრის ელექტრონული აუქციონის შედეგებისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და მ. თ-ეს შორის, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის პირობებიანი აუქციონის ფორმით პრივატიზებისას გაფორმებული 2011 წლის 6 დეკემბრის ნასყიდობის №626 უპ ხელშეკრულების ბათილად ცნობა;

4. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 13 სექტემბრის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურისათვის, მიწის ნაკვეთის შპს „...“ საკუთრებაში დარეგისტრირება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, სახეზეა სასამართლოთა შორის დავა ტერიტორიუ-

ლი განსჯადობის თაობაზე, კერძოდ, განსჯადობა მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით, ვინაიდან, შპს „...“ მიერ აღძრულ სარჩელში დავის საგანს წარმოადგენს არა უძრავი ქონება, არამედ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული ქმედება, რა დროსაც განსჯადობის განსაზღვრისას უნდა დადგინდეს არა ის ფაქტი, თუ რას ეხება გამოცემული აქტები და სად მდებარეობს სადავო უძრავი ქონება, არამედ აქტების გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფლის მიხედვით უნდა გაირკვეს, თუ რომელი სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიას განეკუთვნება საქმე განსახილველად, მით უფრო მაშინ, როდესაც განსახილველ შემთხვევაში ადმინისტრაციული დავის საგანს წარმოადგენს არა უძრავ ნივთებთან დაკავშირებული კონფლიქტი, არამედ სარჩელის ობიექტია – ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული მოქმედების (გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის) კანონიერება, რა დროსაც საერთო განსჯადობის წესების საფუძველზე სარჩელი უნდა წარედგინოს, განიხილოს და გადაწყვიტოს მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით განსჯადმა სასამართლომ.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი რამდენიმე მოპასუხის მიმართ სასამართლოს წარედგინება ერთ-ერთი მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

განსახილველ შემთხვევაში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო მოპასუხეს წარმოადგენს:

1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2011 წლის 6 სექტემბრის №05/19633 მიმართვის, რომლითაც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურს და მოითხოვა მარნეულის რ/ნ, სოფ. ... არსებული 322 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღრიცხვა;
2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2011 წლის 24 ოქტომბრის №1-1/2139 ბრძანების, რომლითაც განხორციელდა – მარნეულის რაიონში სოფ. ... მდებარე 322 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ელექტრონული აუქციონის (პირობებიანი) ფორმით პრივატიზება;
3. 2011 წლის 7 ნოემბრის ელექტრონული აუქციონის

შედეგებისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და მ. თ-ს შორის, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის პირობებიანი აუქციონის ფორმით პრივატიზებისას გაფორმებული 2011 წლის 6 დეკემბრის ნასყიდობის №626 უპ ხელშეკრულების ბათილად ცნობის ნაწილში, მ. თ-ე – მოპასუხეს წარმოადგენს 2011 წლის 7 ნოემბრის ელექტრონული აუქციონის შედეგებისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და მ. თ-ეს შორის, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის პირობები აუქციონის ფორმით პრივატიზებისას გაფორმებული 2011 წლის 6 დეკემბრის ნასყიდობის №626 უპ ხელშეკრულების ნაწილში, ხოლო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მარნეულის სარეგისტრაციო სამსახური მოპასუხეს წარმოადგენს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 13 სექტემბრის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ნაწილში, რომლითაც სახელმწიფოს საკუთრებაში აღირიცხა მარნეულის რ/ნ-ში სოფ. ... მდებარე 322 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურისათვის, აღნიშნული მიწის ნაკვეთის შპს „...“ საკუთრებაში დარეგისტრირების დავალდებულების ნაწილში. აღნიშნულიდან გამომდინარე, დავის საგანი მოიცავს არა მარტო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების, არამედ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ფორმალური და მატერიალური კანონიერების შეფასებას, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურის მონაწილეობა მოპასუხის სტატუსით განპირობებულია სწორედ იმ გარემოებით, რომ მოსარჩელის მიერ სადავოდ გამხდარი ერთ-ერთი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს. საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ მოსარჩელის ძირითადი მოთხოვნები მიმართულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ, შესაბამისად, სასამართლოს მიერ თავდაპირველად უნდა შემოწმდეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ გამოცემული აქტების კანონიერება, ხოლო სასარჩელო მოთხოვნები მიმართული მ. თ-ისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ ძირითადი აქტების შემოწმების თანმდევი შედეგია.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში ტერიტორიული განსჯადობის გათვალისწინებით განსჯად სასამართლოს წარმოადგენს მოპასუხის – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ადგილსამყოფლის მიხედვით (ქ. თბილისი) – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია, ხოლო მოპასუხეების – მ. თ-ისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურის ადგილსამყოფლის მიხედვით (ქ. მარნეული).

ამასთან, ბოლნისის რაიონული სასამართლოს სასამართლო სხდომაზე მოსარჩელე დაეთანხმა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შუამდგომლობას საქმის განსჯადობით თბილისის საქალაქო სასამართლოში გადაგზავნის თაობაზე, აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმენ ასევე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელიც და მ. თ-ის წარმომადგენელიც, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც შპს „...“ სარჩელი რამდენჯერმე იქნა განხილული თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, შპს „...“ სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. შპს „...“ სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ტერიტორიული განსჯადობა

განჩინება

№ბს-364-360(გ-15)

9 ივლისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

2014 წლის 4 სექტემბერს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე ააიპ „...“ მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2013 წლის 31 მაისს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსა და ააიპ „...“ შორის გაფორმდა მემორანდუმი – შეთანხმება თანამშრომლობის შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა დევნილთათვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობის, ინფრასტრუქტურული პროექტებისა და დევნილთა დასაქმების მიზნის განხორციელებისათვის ხელშეწყობას. შეთანხმების თანახმად, მხარეებს უნდა უზრუნველყოთ ფინანსური რესურსების მოზიდვა აღნიშნული პროგრამების დასაფინანსებლად. 2013 წლის 10 ივლისს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსა და ააიპ „...“ შორის გაფორმდა გრანტის ხელშეკრულება, რომლის ძალით გრანტის გამცემმა იკისრა ვალდებულება გრანტის მიმღებისათვის გრანტის სახით გადაეცა 270 915 000 ლარი სამ ეტაპად, თითოეულ ეტაპზე 90 305 000 ლარის ოდენობით. გრანტის მიმღებმა, თავის მხრივ, იკისრა ვალდებულება, აღნიშნული თანხა გამოეყენებინა მიზნობრივად, მხოლოდ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა საცხოვრებელი სახლებისა და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურული პრო-

ექტების მშენებლობისთვის, კერძოდ, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე განსაზღვრულ შესაბამის მიწის ნაკვეთზე ოცდაექვსი თექვსმეტსართულიანი, მრავალბინიანი სახლის მშენებლობისთვის. 2013 წლის 7 ოქტომბერს ხელშეკრულების 1.1 პუნქტში შევიდა ცვლილება საგრანტო თანხის გაზრდასთან დაკავშირებით და საგრანტო თანხა განისაზღვრა 487 500 000 ლარით, ხოლო ხელშეკრულების 1.2 პუნქტში შეტანილი ცვლილებების თანახმად, გრანტის თანხა გამოყენებული უნდა ყოფილიყო მხოლოდ დევნილთათვის საცხოვრებელი სახლებისა და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურული პროექტების მშენებლობისათვის. აღნიშნული ცვლილებით ხელშეკრულებაში დაკონკრეტდა მშენებლობის განხორციელებისთვის განსაზღვრული მიწის ნაკვეთები: ქ. თბილისი, 16 ოცდაორსართულიანი მრავალბინიანი სახლის მშენებლობისთვის; ქ. თბილისი, 9 ოცდაორსართულიანი მრავალბინიანი სახლის მშენებლობისთვის; ქ. ბათუმი, 9 თექვსმეტსართულიანი და 19 თერთმეტსართულიანი მრავალბინიანი სახლის მშენებლობისთვის.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს შუამდგომლობის საფუძველზე სახელმწიფო ქონების მართვის ეროვნულმა სააგენტომ გამოყო მიწის ნაკვეთები საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობისათვის. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 3 ივლისის №700 განკარგულებით მთავრობამ მოიწონა მხარეთა შორის გაფორმებული გრანტის ხელშეკრულება. საქართველოს მთავრობის განკარგულებისა და გრანტის ხელშეკრულების შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2014 წლის 13 იანვარს გასცა №04-01/1296 საგარანტიო წერილი.

მოსარჩელის მითითებით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, ხოლო „...“ დაარღვია ხელშეკრულების პირობები, კერძოდ, ხელშეკრულების 1.1 და 2.1.2 პუნქტების მოთხოვნები, რაც ითვალისწინებდა საჭირო დოკუმენტაციის წარდგენიდან 90 დღის ვადაში პირველი ეტაპისათვის გათვალისწინებული საგრანტო თანხის გადარიცხვას. ამასთან, მოსარჩელის მითითებით, სამინისტრომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამშენებლო დოკუმენტაციის მოსამზადებლად გასწია გარკვეული დანახარჯი, კერძოდ, ორ ობიექტზე გამოცხადდა კონკურსი, კონკურსში გამარჯვებულ ორგანიზაციასთან დადებული ხელშეკრულების შესაბამისად, სამინისტრომ

თითოეულ ობიექტზე განეული სამუშაოების ორგანიზებისათვის გადაიხადა ჯამში 574000 ლარი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 394-ე და 416-ე მუხლების შესაბამისად, მოითხოვა მოპასუხისათვის პირგასამტეხლოსა და ზიანის ანაზღაურების დაკისრება 488 074 000 ლარის ოდენობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 9 სექტემბრის განჩინებით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სარჩელი განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 16 სექტემბრის განჩინებით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სარჩელი საქმის მასალებთან ერთად გადმოიგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში განსჯადობის თაობაზე დავის გადასაწყვეტად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 20 ნოემბრის განჩინებით, საგნობრივი განსჯადობის თაობაზე დავის გადაწყვეტის შედეგად, სარჩელი საქმის მასალებთან ერთად დაუბრუნდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული დავა განეკუთვნებოდა ადმინისტრაციულ დავათა კატეგორიას, ვინაიდან სასარჩელო მოთხოვნა ეხებოდა კერძო სამართლის სუბიექტსა და ადმინისტრაციულ ორგანოს შორის საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 21 აპრილის განჩინებით საქმე განსახილველად გადაეგზავნა ბათუმის საქალაქო სასამართლოს. თბილისის საქალაქო სასამართლომ მიუთითა სსსკ-ის მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) პირველ ნაწილზე, რომლის თანახმადაც სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ მოპასუხედ დასახელებული იყო არასამეწარმეო არაკო-

მერციული იურიდიული პირი „...“, რომლის იურიდიული მისამართია – ქ. ბათუმი, ... №23. თბილისის საქალაქო სასამართლომ მიუთითა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის მიხედვითაც ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად კი არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს. საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სსსკ-ს მე-15 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქმე საერთო განსჯადობის წესების დაცვით ბათუმის საქალაქო სასამართლოს განსჯადი იყო.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 19 მაისის განჩინებით სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად საქმე გადმოგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ განსახილველი დავა, თავისი შინაარსით წარმოადგენდა ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავას. სსსკ-ს მე-15 მუხლი ეხებოდა ტერიტორიული განსჯადობის ზოგად წესს, რომლის მიხედვითაც ხდებოდა ნებისმიერი სარჩელის (განცხადების) აღძვრა სასამართლოში და გამოიყენებოდა იმ შემთხვევაში, თუ საპროცესო კანონმდებლობით სხვა რამ არ იყო დადგენილი. ამ საერთო წესიდან გამონაკლისს წარმოადგენდა სსსკ-ს მე-16-24-ე მუხლები. მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელები სასამართლოს წარედგინება ხელშეკრულების შესრულების ადგილის, ან იმ ადგილის მიხედვით, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო. სასამართლომ მიიჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, დავის ტერიტორიული განსჯადობის მარეგულირებელ ნორმად სწორედ სსსკ-ს მე-16 მუხლი უნდა ყოფილიყო გამოყენებული.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ ხელშეკრულების ან ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულების ადგილად ითვლება ის ადგილი, რომელიც ამ ხელშეკრულებითაა გათვალისწინებული. სამოქალაქო კოდექსის 362-ე მუხლის თანახმად, თუ შესრულების ადგილი არ არის განსაზღვრული, მაშინ უნდა ვიხელმძღვანელოთ ვალდებულებითი ურთიერთობის არსით. 2013 წლის 10 ივლისს

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსა და ააიპ „...“ შორის გაფორმებული გრანტის ხელშეკრულების 2.1. მუხლის (გრანტის გამცემის ვალდებულება) 2.1.2. პუნქტის თანახმად, გრანტის გამცემი ვალდებული იყო გრანტის მიმღების მიერ ამ ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.1. პუნქტით გათვალისწინებული შესაბამისი წერილის, ამ მუხლის 2.2.3. პუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო-საპროექტო დოკუმენტაციის და ამ ხელშეკრულების 1.2. პუნქტით გათვალისწინებული სამუშაოების ჩასატარებლად საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გრანტის მიმღებისათვის მიწის გამოყოფის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის საფუძველზე, არა უმეტეს 90 დღის ვადაში გადაერიცხა ხელშეკრულების 1.1. პუნქტით გათვალისწინებული პირველი ეტაპის თანხა, გრანტის მიმღებისთვის (სამინისტრო) სახელმწიფო ხაზინაში გათვალისწინებულ, ამ ხელშეკრულების მე-11 მუხლის 11.2. პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნულ ანგარიშზე.

ხელშეკრულების 11.1. პუნქტის თანახმად, მოსარჩელის ადგილსამყოფელი და შესაბამისად, სახელმწიფო ხაზინის ადგილმდებარეობად მითითებული იყო ქალაქი თბილისი. ამასთან, ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე ვალდებულებათა ურთიერთობის არსის თანახმად, გრანტის მიმღებისთვის გრანტის თანხის გადაცემის ადგილი იყო ქ. თბილისი.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ მიუთითა იმ გარემოებაზეც, რომ მოსარჩელე მხარე სასარჩელო განცხადებაში ერთმნიშვნელოვნად აღნიშნავდა, რომ 2013 წლის 10 ივლისს გაფორმებული გრანტის ხელშეკრულებით, ხელშეკრულების შესრულების ადგილად განისაზღვრა ქ. თბილისი, რამდენადაც საგრანტო თანხის ჩარიცხვა სამინისტროსთვის უნდა მომხდარიყო ქ. თბილისში.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ მიუთითა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლზე, რომელიც ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში და იგი იმპერატიული შინაარსის ნორმაა.

ამგვარად, ბათუმის საქალაქო სასამართლომ აღნიშნული საქმე ტერიტორიული განსჯადობის თაობაზე დავის გადასაწყვეტად საქართველოს უზენაეს სასამართლოს გადმოუგზავნა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა თბილისისა და ბათუმის საქალაქო

სასამართლოების განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლომ არსებითად სწორად განსაზღვრა მოცემული დავის განსჯადობის საკითხი და მართებულად მიიჩნია საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯად დავად.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42.2 მუხლის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე. „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია“ კანონიერ სასამართლოზე ადამიანის უფლებას სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლების შემადგენელ ნაწილად მოიაზრებს (მე-6 მუხ.). კანონიერი სასამართლოს უფლება კი სასამართლოს განსჯადობის ზუსტ განსაზღვრას მოითხოვს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ, თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლით რეგლამენტირებულია საერთო განსჯადობის შესახებ წესები. მითითებული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული წესი არის ტერიტორიული განსჯადობის ზოგადი წესი, რომლის მიხედვით ხდება ნებისმიერი სარჩელის (განცხადების) აღძვრა სასამართლოში და გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ საპროცესო კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი.

ამ საერთო წესიდან გამონაკლისებს წარმოადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16-24-ე მუხლები, რომლებიც განსჯადობის საკითხებს აწესრიგებს.

სსკ-ის მე-16 მუხლი განსაზღვრავს განსაკუთრებული გან-

სჯადობის წესებს, მათ შორის, ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელებისთვის. კერძოდ, მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელები სასამართლოს წარედგინება ხელშეკრულების შესრულების ადგილის, ან იმ ადგილის მიხედვით, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, დავის ტერიტორიული განსჯადობისთვის მარეგულირებელ ნორმად სწორედ მე-16 მუხლი უნდა იქნეს გამოყენებული.

საკასაციო სასამართლოს 2014 წლის 20 ნოემბრის განჩინებაში, მოცემულ საქმეზე საგნობრივი განსჯადობის შესახებ დავის განხილვისას, სასამართლომ მიუთითა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ემსჯელა, სახელშეკრულებო ურთიერთობასთან დაკავშირებული სარჩელი სწორად იყო თუ არა წარდგენილი ხელშეკრულების შესრულების ადგილის მიხედვით. საკასაციო სასამართლოს მითითება ითვალისწინებდა მსჯელობის შედეგად, თბილისის საქალაქო სასამართლოს დასაბუთებული განჩინების მიღებას, რომლის მიხედვითაც განისაზღვრებოდა აღნიშნული საქმის ტერიტორიული განსჯადობის საკითხი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 21 აპრილის განჩინებით სსსკ-ს მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობის) მიხედვით მოცემული საქმე გადაეგზავნა ბათუმის საქალაქო სასამართლოს. თბილისის საქალაქო სასამართლომ არ დაასაბუთა თუ რატომ არ ექვემდებარებოდა საქმე სსსკ-ს მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ წესს, რატომ არ წარმოადგენდა იგი განსაკუთრებული განსჯადობით განსახილველ შემთხვევას.

საკასაციო სასამართლო იზიარებს ბათუმის საქალაქო სასამართლოს მსჯელობას და მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, დავის ტერიტორიული განსჯადობისთვის მარეგულირებელ ნორმად სსსკ-ს მე-16 მუხლის მეორე ნაწილი უნდა იქნეს გამოყენებული. მოსარჩელემ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო პირგასამტეხლოსა და ზიანის ანაზღაურების დაკისრების შესახებ სარჩელის აღძვრისას, ტერიტორიული განსჯადობის ამ წესის შესაბამისად მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს, რამდენადაც მიიჩნია, რომ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულების ადგილს, ხელშეკრულების მიხედვით, ქ. თბილისი წარმოადგენდა. საკასაციო სასამართლო ასევე იზიარებს ბათუმის საქალაქო სა-

სამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სსსკ-ის მე-16 მუხლით განსაზღვრული წესი, ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავების ტერიტორიულ განსჯადობასთან დაკავშირებით, უწინარეს ყოვლისა, ითვალისწინებს მოსარჩელის ინტერესებს და უადვილებს მას საქმის წარმოებას სასამართლოში.

გრანტის გამცემს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება (თანხის გადარიცხვა) უნდა შეესრულებინა გრანტის მიმღებისთვის (სამინისტრო) სახელმწიფო ხაზინაში გათვალისწინებულ, ხელშეკრულების მე-11 მუხლის 11.2. პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მითითებულ ანგარიშზე.

ხელშეკრულების 11.1. პუნქტის თანახმად, მოსარჩელის ადგილსამყოფელი და შესაბამისად, სახელმწიფო ხაზინის ადგილმდებარეობად მითითებული იყო ქალაქი თბილისი. ამასთანავე, ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე, ვალდებულებითი ურთიერთობის არსის თანახმად, გრანტის მიმღებისთვის (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო) გრანტის თანხის გადაცემის ადგილი – ქ. თბილისია.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში სარჩელი ხელშეკრულების შესრულების ადგილის მიხედვით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სარჩელი მოპასუხის – აიაპ „...“ მიმართ, განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;

2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე განცხადების განხილვის განსჯალოვა

განჩინება

№ბ-120-1(გან-15)

16 თებერვალი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
ნ. სხირტლაძე**

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის შესაბამისად, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ვ. ქ-ის, ჯ. ა-ის, გ. ი-ის, დ. ქ-ის, ს. შ-ისა და ჯ. ს-ის განცხადება გადანყვეტილების განმარტების შესახებ.

აღწერილობითი ნაწილი:

2015 წლის 29 იანვარს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას განცხადებით მობრტეს ვ. ქ-მა, ჯ. ა-ემ, გ. ი-ემ, დ. ქ-ემ, ს. შ-მა და ჯ. ს-მა.

განმცხადებლებმა აღნიშნეს, რომ გორის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 5 მარტის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ვ. ქ-ის, ჯ. ა-ის, გ. ი-ის, დ. ქ-ის, ს. შ-ისა და ჯ. ს-ის სარჩელი მოსარჩელეთა სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებების ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 23 მაისის განჩინებით უცვლელად დარჩა გორის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 5 მარტის გადაწყვეტილება, ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 20 ნოემბრის განჩინებით დაუშვებლად იქნა მიჩნეული კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივარი.

განმცხადებლთა მითითებით, გორის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 5 მარტის გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მიუხედავად, იგი არ აღსრულებულა იმის გამო, რომ აღარ არსებობდა რწმუნებულის თანამდებობა, სადაც მოსარჩელები მუშაობდნენ გათავისუფლებამდე. მოსარჩელები იყვნენ კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოების რწმუნებულების მოვალეობის შემსრულებლები, რომლებიც თა-

ნამდებობაზე დანიშნულნი იყვნენ „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის ორგანული კანონის საფუძველზე, რომელიც ადგენდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მოწყობის განსხვავებულ წესს.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის ორგანული კანონი გაუქმდა 2014 წლის 5 თებერვლის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით, რომლითაც გაუქმდა ტერიტორიული ორგანოები და რწმუნებულის თანამდებობა.

განმცხადებელთა მითითებით, მიუხედავად იმისა, რომ კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობაში არსებობს გამგებლის წარმომადგენლის თანამდებობა, რომელიც, კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 1 აგვისტოს №27 დადგენილებით დამტკიცებული კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების მე-14 მუხლის თანახმად, თითქმის იგივე ფუნქციებს ასრულებს, რასაც ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული ახორციელებდა, გორის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 5 მარტის გადაწყვეტილება არ სრულდება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებლებმა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის შესაბამისად, მოითხოვეს გორის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 5 მარტის გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით განმარტების გაკეთება იმის თაობაზე, რომ შესაბამისი თანამდებობის არარსებობის პირობებში (თუმცა არსებობს ფუნქციურად იგივე თანამდებობა) როგორ უნდა აღსრულდეს გორის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 5 მარტის გადაწყვეტილება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი განცხადების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ იგი განსჯადობით განსახილველად უნდა გადაეცეს გორის რაიონულ სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს მხარეთა ან აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია. განცხადების შეტანა გადაწყვეტი-

ლები განმარტების შესახებ დასაშვებია, თუ გადანყვეტილებზე არ არის აღსრულებული და თუ არ გასულა ვადა, რომლის განმავლობაშიც გადანყვეტილება შეიძლება აღსრულდეს.

ამდენად, მითითებული ნორმის დანაწესის თანახმად, გადანყვეტილების განმარტების უფლებამოსილება მინიჭებული აქვს გადანყვეტილების გამომტან სასამართლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილი პირობების არსებობისას.

მოცემულ შემთხვევაში საქართველოს უზენაესი სასამართლო არ წარმოადგენს გადანყვეტილების მიმღებ სასამართლოს. საკასაციო სასამართლოს 2014 წლის 20 ნოემბრის განჩინებით უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 23 მაისის განჩინება. სააპელაციო სასამართლოს განჩინებით კი, თავის მხრივ, არ დაკმაყოფილდა კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააპელაციო საჩივარი და უცვლელად დარჩა გორის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 5 მარტის გადანყვეტილება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის შესაბამისად, გადანყვეტილების განმარტების შესაძლებლობას მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა ადგენს მისი აღსრულების ხელშეწყობის მიზნით. მოცემულ შემთხვევაში აღსრულებას ექვემდებარებოდა გორის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 5 მარტის გადანყვეტილება, რომელიც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კანონიერ ძალაში შევიდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 20 ნოემბრის განჩინების მიღების შედეგად.

ამდენად, მოცემულ საქმეზე გადანყვეტილების მიმღებ სასამართლოს პირველი ინსტანციის სასამართლო წარმოადგენს, რომლის საპროცესო კომპეტენციასაც განეკუთვნება მოცემული განცხადების განხილვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე წარმოდგენილი განცხადება განსჯადობის წესების დაცვით, განსახილველად უნდა გადაეცეს გორის რაიონულ სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 262-

ე მუხლის პირველი ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. გადანყვეტილების განმარტების შესახებ ვ. ქ-ის, ჯ. ა-ის, გ. ი-ის, დ. ქ-ის, ს. შ-ისა და ჯ. ს-ის განცხადება განსჯადობით განსახილველად გადაეცეს გორის რაიონულ სასამართლოს;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

გ ა დ ა ნყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ის გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ის თ ა ო ზ ა ზ ე გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ის გ ა ნ ს ი ლ ვ ის გ ა ნ ს ჯ ა დ ო ზ ა

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ბ-432-2(გან-15)

27 აპრილი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე**

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის შესაბამისად, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბ. ბ-ის განცხადება გადანყვეტილების განმარტების შესახებ.

ა ღ ნ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

2015 წლის 17 აპრილს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას განცხადებით მომართა ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ბ. ბ-მა.

განმცხადებელმა აღნიშნა, რომ თელავის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 10 აპრილის გადანყვეტილებით ზ. უ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; არარად იქნა აღიარებული ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 30 აპრილის №79 ბრძანება. მოპასუხე ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალა აღადგინოს ზ. უ-ი ახმეტის მუნიციპალიტეტის ქალაქ ახმეტის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანე-

ლის (რწმუნებულის) თანამდებობაზე და მიეცეს იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო სამი თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 29 ივლისის განჩინებით უცვლელად დარჩა თელავის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილება, ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 10 მარტის განჩინებით დაუშვებლად იქნა მიჩნეული ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივრები.

განმცხადებლის მითითებით, ზ. უ-ი მუშაობდა ქალაქ ახმეტის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის (რწმუნებულის) თანამდებობაზე დროებით მოვალეობის შემსრულებლად. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 30 აპრილის №79 ბრძანებით იგი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 42-ე მუხლით განსაზღვრული იყო გამგეობის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის სტატუსი და ფუნქციები.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ ამოქმედებისთანავე 2014 წლის 3 ივლისს გაუქმდა მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანო და შესაბამისად ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის თანამდებობა.

განმცხადებლის მითითებით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის მეორე ნაწილით გამგებელი უფლებამოსილია მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში დანიშნოს გამგებლის წარმომადგენელი, მაგრამ მხოლოდ კონკურსის გავლის შემდეგ, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის შესაბამისად. ამავე კანონის 127-ე მუხლის მე-6 პუნქტით მოხელის მიერ მოთხოვნილი განაცდური ხელფასი ამ კანონის 112-ე მუხლით დადგენილი ოდენობით ანაზღაურდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულება მოხელეს აღადგენს სასმარტოში. სხვა შემთხვევაში განაცდური ხელფასი არ ანაზღაურდება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებელმა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის შესაბამისად, მოითხოვა თელავის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით განმარტების გაკეთე-

ბა იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა იქნეს აღდგენილი ზ. უ-ი საქართველოს ორგანული კანონით („ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“) გაუქმებულ თანამდებობაზე და აღუდგენლობის შემთხვევაში, როგორ უნდა აუნაზღაურდეს განაცდური ხელფასი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი განცხადების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ იგი განსჯადობით განსახილველად უნდა გადაეცეს თელავის რაიონულ სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს მხარეთა ან აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია. განცხადების შეტანა გადაწყვეტილების განმარტების შესახებ დასაშვებია, თუ გადაწყვეტილება ჯერ არ არის აღსრულებული და თუ არ გასულა ვადა, რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება შეიძლება აღსრულდეს.

ამდენად, მითითებული ნორმის დანაწესის თანახმად, გადაწყვეტილების განმარტების უფლებამოსილება მინიჭებული აქვს გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილი პირობების არსებობისას.

მოცემულ შემთხვევაში საქართველოს უზენაესი სასამართლო არ წარმოადგენს გადაწყვეტილების მიმღებ სასამართლოს. საკასაციო სასამართლოს 2015 წლის 10 მარტის განჩინებით უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 29 ივლისის განჩინება. სააპელაციო სასამართლოს განჩინებით კი, თავის მხრივ, არ დაკმაყოფილდა ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააპელაციო საჩივრები და უცვლელად დარჩა თელავის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის შესაბამისად, გადაწყვეტილების განმარტების შესაძლებლობას მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა ადგენს მისი აღსრულების ხელშეწყობის მიზნით. მოცემულ შემთხვევაში აღსრულებას ექ-

ვემდებარებოდა თელავის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილება, რომელიც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კანონიერ ძალაში შევიდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 10 მარტის განჩინების მიღების შედეგად.

ამდენად, მოცემულ საქმეზე გადაწყვეტილების მიმღებ სასამართლოს პირველი ინსტანციის სასამართლო წარმოდგენს, რომლის საპროცესო კომპეტენციასაც განეკუთვნება მოცემული განცხადების განხილვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე წარმოდგენილი განცხადება განსჯადობის წესების დაცვით, განსახილველად უნდა გადაეცეს თელავის რაიონულ სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 262-ე მუხლის პირველი ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. გადაწყვეტილების განმარტების შესახებ ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბ. ბ-ის განცხადება განსჯადობით განსახილველად გადაეცეს თელავის რაიონულ სასამართლოს;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

4. ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლებაზე განცხადების განსჯალოვა

განჩინება

№ბ-1040-6(ა-13)

9 სექტემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
ნ. სხირტლაძე

ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა მ. ც-ისა და მ. მ-ის წარმომადგენლის – ვ. ხ-ის განცხადების დასაშვებობის საკითხი ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 24 იანვრის განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2005 წლის 24 იანვრის განჩინებით მ. ც-ისა და მ. მ-ის წარმომადგენლის – ი. კ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2004 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილება მ. მ-ისათვის ქ. ბათუმში, ... ქ. №25-ში მდებარე ბინა 57-ის გაუმჯობესებისათვის 20000 ლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა; დანარჩენ ნაწილში უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2004 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილებით აჭარის ა/რ პროკურორის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოსარჩელე აჭარის ა/რ პროკურორს უარი ეთქვა მოპასუხე მ. ც-ის სახელზე ... ქ. №86-ში რიცხული სახლის ჩამორთმევის ნაწილში და მას დაეკისრა კომპენსაცია – 30000 ლარი უკანონო და დაუსაბუთებელი სახსრებით გაუმჯობესებისათვის; მოსარჩელეს უარი ეთქვა მოპასუხე მ. მ-ის სახელზე რიცხული, ქ. ბათუმში, ... ქ. №25, ბინა 57-ის ჩამორთმევის ნაწილში და მას დაეკისრა კომპენსაცია – 20000 ლარი ბინის უკანონო და დაუსაბუთებელი თანხებით გაუმჯო-

ბესებისათვის; აჭარის ა/რ პროკურორის სარჩელი დანარჩენ ნაწილში დაკმაყოფილდა; მ. ც-ეს ჩამოერთვა და სახელმწიფოს გადაეცა კუთვნილი ავტომანქანა „მიცუბიში პაჯერო“ ღირებულებით 25000 ლარად; მ. მ-ის სახელზე რიცხული, ... ქ. №5/7, ბინა 3-4, ღირებული 105000 ლარად; დასასვენებელი სახლი ... რაიონის კურორტ ბეშუმში, ღირებული 10000 ლარად.

2013 წლის 20 აგვისტოს საკასაციო სასამართლოს განცხადებით მომართა მ. ც-ისა და მ. მ-ის წარმომადგენელმა – ვ. ხ-მა და მოითხოვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 24 იანვრის განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი განცხადების გაცნობის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მ. ც-ისა და მ. მ-ის წარმომადგენლის – ვ. ხ-ის განცხადება განსჯადობის წესების დაცვით უნდა გადაეცეს უფლებამოსილ – ბათუმის საქალაქო სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია, თუ არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადების წანამდღვრები. ამავ კოდექსის 424-ე მუხლის თანახმად, რომელიც განსაზღვრავს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადების განსჯადობის საკითხს, განცხადება შეტანილ უნდა იქნეს გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში, განცხადება გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს განსჯადია იმ შემთხვევაშიც, თუ არსებობს ზემდგომი სასამართლოს განჩინება ამ გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ.

მოცემულ შემთხვევაში, განმცხადებელი ითხოვს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლებას. განმცხადებლის მოსაზრებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლის შესაბამისად, მოცემული განცხადება საკასაციო სასამართლოს განსჯადია, რამდენადაც საკასაციო სასამართლოს 2005 წლის 24 იანვრის განჩინებით ნაწილობრივ შეიცვალა აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს 2004 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მ. ც-ისა და მ. მ-ის წარმომადგენლის – ვ. ხ-ის მიერ განცხადება საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილია განსჯადობის წესების დარღვევით,

რადგან მოცემულ საქმეზე გადანყვეტილება საქმის არსებითი განხილვის შედეგად გამოტანილია აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის მიერ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, განცხადება გადანყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს გადანყვეტილების (განჩინების) გამომტან სასამართლოში. განცხადებას განიხილავს გადანყვეტილების გამომტანი სასამართლო იმ შემთხვევაშიც, როდესაც არსებობს ზემდგომი სასამართლოს განჩინება ამ გადანყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ. სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაში განიხილავს განცხადებას გადანყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ, თუ იგი მის მიერ გამოტანილ გადანყვეტილებას ეხება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ წარმოდგენილი განცხადების განსჯადობის საკითხზე გავლენას არ ახდენს ის გარემოება, რომ საკასაციო სასამართლოს 2005 წლის 24 იანვრის განჩინებით ნაწილობრივ შეიცვალა აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2004 წლის 11 ოქტომბრის გადანყვეტილება, რამდენადაც აღნიშნული ცვლილება შეეხო გადანყვეტილების იმ ნაწილს, რომლითაც მ. მ-ეს დაეკისრა 20000 ლარის გადახდა ქ. ბათუმში, ... ქ. №25-ში მდებარე ბინა 57-ზე უკანონო და დაუსაბუთებელი სახსრებით განხორციელებული გაუმჯობესებისათვის. საკასაციო სასამართლოს განჩინებით აღნიშნულ ნაწილში არ დაკმაყოფილდა აჭარის ა/რ პროკურატურის სარჩელი, ხოლო დანარჩენ ნაწილში უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადანყვეტილება. ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლებას განმცხადებელი ითხოვს იმ საფუძვლით, რომ აჭარის ა/რ პროკურორის მოადგილის 2013 წლის 12 აპრილის დადგენილებით შეწყდა მ. ც-ის მიმართ დანეკბული სისხლის სამართლის დევნა მის ქმედებაში სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო. შესაბამისად, წარმოდგენილი განცხადება ეხება გადანყვეტილების იმ ნაწილს, რომლითაც დაკმაყოფილდა აჭარის ა/რ პროკურორის სარჩელი, ხოლო ამ ნაწილში საქმეზე საბოლოო გადანყვეტილება მიღებულია არა საკასაციო სასამართლოს, არამედ აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს მიერ. საქმის წარმოების

განახლების შესახებ განცხადების მოთხოვნის საგანი ვერ გახდება კანონიერ ძალაში შესული გადანაცვლების გაუქმება და ხელახლა გადასინჯვა იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა აჭარის ა/რ პროკურორის მოთხოვნა მ. ც-ისა და მ. მ-ისათვის უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევის შესახებ. შესაბამისად, წარმოდგენილ განცხადების განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოდგენს არა საკასაციო სასამართლო, არამედ ბათუმის საქალაქო სასამართლო.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ„ საქართველოს ორგანულ კანონში 2005 წლის 25 ნოემბრის კანონით განხორციელებული ცვლილების თანახმად, გაუქმდა აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლო. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში 2007 წლის 4 ივლისის კანონით განხორციელებული ცვლილების თანახმად, თანამდებობის პირისათვის ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემის თაობაზე დავა ექვემდებარება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვას. შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის თანახმად, მ. ც-ისა და მ. მ-ის წარმომადგენლის – ვ. ხ-ის განცხადება განსჯადობის წესების დაცვით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XLIV¹ თავით დადგენილი წესით განსახილველად.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მ. ც-ისა და მ. მ-ის წარმომადგენლის – ვ. ხ-ის განცხადება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, განსჯადობის წესების დაცვით უნდა გადაეცეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია იმსჯელოს წარმოდგენილი განცხადების დასაშვებობასა და მოთხოვნის საფუძვლიანობაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი და 26-ე მუხლების მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე, 424-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მ. ც-ისა და მ. მ-ის წარმომადგენლის – ვ. ხ-ის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების გა-

ნახლების შესახებ განსახილველად გადაეცეს უფლებამოსილ
– ბათუმის საქალაქო სასამართლოს;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ სა-
ჩივრდება.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლებაზე განცხადების განსჯალოვა

განჩინება

№3-707-1(ა-15)

21 მაისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
მ. ვაჩაძე

დავის საგანი: პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარება

აღწერილობითი ნაწილი:

ვ. მ-ემ 07.05.2012წ. სარჩელით მიმართა ბოლნისის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე სოციალური მომსახურების სააგენტოს ბოლნისის რაიონული განყოფილების მიმართ პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების მოთხოვნით.

ბოლნისის რაიონული სასამართლოს 13.06.2012წ. გადაწყვეტილებით ვ. მ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გასაჩივრდა მოსარჩელის მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 04.09.2012წ. განჩინებით ვ. მ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, რაც საკასაციო წესით გასაჩივრდა ვ. მ-ის მიერ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 20.06.2013წ. განჩინებით ვ. მ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 04.09.2012წ. განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 28.01.2014წ. განჩინებით ვ. მ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ბოლნისის რაიონული სასამართლოს 13.06.2012წ. გადაწყვეტილება, რაც საკასაციო წესით გასაჩივრდა ვ. მ-ის მიერ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 09.10.2014წ. განჩინებით ვ.მ-ის საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი.

06.05.15წ. ვ.მ-ემ განცხადებით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით იმ საფუძველზე, რომ მის მიერ სასამართლოში წარდგენილ იქნა ყველა საჭირო დოკუმენტაცია, რაც ქმნიდა სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველს, თუმცა აღნიშნული სასამართლოს არ გაუთვალისწინებია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ვ.მ-ის განცხადების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი განცხადება განსახილველად უნდა დაექვემდებაროს ბოლნისის რაიონულ სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში. განცხადებას განიხილავს გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო იმ შემთხვევაშიც, როდესაც არსებობს ზემდგომი სასამართლოს განჩინება ამ გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ. სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაში განიხილავს განცხადებას გადაწყვეტილების ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ, თუ იგი მის მიერ გამომტანილ გადაწყვეტილებას ეხება. მოცემულ შემთხვევაში, განმცხადებელი ითხოვს საქმის წარმოების განახლებას.

აღნიშნული ნორმის გათვალისწინებით, რადგან საქართველოს უზენაესი სასამართლოს 09.10.2014 წ. განჩინებით უცვლელად დარჩა სააპელაციო სასამართლოს 28.01.2014წ. განჩინება,

რომლითაც, თავის მხრივ უცვლელად იქნა დატოვებული ბოლნისის რაიონული სასამართლოს 13.06.2012წ. გადაწყვეტილება, სასამართლო მიიჩნევს, რომ ვ.მ-ის განცხადება საქმის წარმოების განახლების თაობაზე არა საქართველოს უზენაესი სასამართლოს, არამედ ბოლნისის რაიონული სასამართლოს განსჯადია, რადგან სწორედ ამ უკანასკნელის მიერ არის მიღებული საქმეზე არსებითი გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ვ. მ-ის განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ განსჯადობით განსახილველად გადაეცეს ბოლნისის რაიონულ სასამართლოს;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის
წარმოების განახლებაზე განცხადების განსჯადობა**

განჩინება

№გ-901-4(ა-15)

2 ივლისი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
ნ. სხირტლაძე**

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის შესაბამისად, ზეპირი მოსმენის გარეშე, შეამოწმა აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2004 წლის 10 სექტემბრისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილებების გაუქმებისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე გ. დ-ის, ჯ. გ-ისა და გ. დ-ის შუამდგომლობის დასაშვებობის საკითხი.

აღწერილობითი ნაწილი:

2015 წლის 22 მაისს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას შუამდგომლობით მომართეს გ. დ-ემ, ჯ. გ-მა და გ. დ-ემ, რომლებმაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ და „ვ“ ქვეუწესებების საფუძველზე, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2004 წლის 10 სექტემბრისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილებების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება მოითხოვეს.

შუამდგომლობის ავტორთა მითითებით, 2004 წლის 10 სექტემბერს, პროკურორის სარჩელის საფუძველზე, აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ განიხილა მათ მიმართ უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემის საკით-

ხი. ჯ. გ-ს ბრალი ჰქონდა წაყენებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის მე-3 ნაწილით (სამსახურებრივი მოვალეობის ბოროტად გამოყენება).

აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2004 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილებით აჭარის ა/რ პროკურორის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოსარჩელეს უარი ეთქვა ქედის რაიონის სოფელ ... არსებული საცხოვრებელი სახლისა და ერთი ჰექტარი საკარმიდამო მიწის ნაკვეთის ჩამორთმევაზე, ჯ. გ-ს დაეკისრა კომპენსაცია 3000 ლარის ოდენობით სახლის უკანონო და დაუსაბუთებელი შემოსავლებით გაუმჯობესებისათვის; მოსარჩელეს უარი ეთქვა ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ... არსებული, ორსართულიანი საცხოვრებელი სახლისა და 0,07ჰა მიწის ნაკვეთის ჩამორთმევაზე, ჯ. გ-ს დაეკისრა კომპენსაცია 8000 ლარის ოდენობით სახლის უკანონო და დაუსაბუთებელი შემოსავლებით გაუმჯობესებისათვის; აჭარის ა/რ პროკურორის სარჩელი დანარჩენ ნაწილში დაკმაყოფილდა, კერძოდ, ჯ. გ-ს ჩამოერთვა და სახელმწიფოს გადაეცა შემდეგი ქონება: დასასვენებელი სახლი ხულოს რაიონის კურორტ ..., ღირებული 1000 ლარად; 0,11 ჰა მიწის ნაკვეთი სოფელ ...; ავტომანქანა უაზი სახელმწიფო ნომრით ..., ღირებული 1500 ლარად; მშენებარე წვენების ქარხანა, მდებარე ქედის რაიონის სოფელ ...; ამავე გადაწყვეტილებით ჩამორთმევადა და სახელმწიფოსათვის გადაცემას დაექვემდებარა ჯ. გ-ის ოჯახის წევრის – გ. დ-ის სახელზე რიცხული 0,25 ჰა მიწის ნაკვეთი, მდებარე ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ..., მეურნეობის ტერიტორიაზე, ღირებული 5000 ლარად; ჯ. გ-ის ახლო ნათესავის – გ. დ-ის სახელზე რიცხული მშენებარე საცხოვრებელი სახლი არასაცხოვრებელი კომერციული ფართით, მდებარე ქ. ბათუმში, ... ქ. 33-ში, ღირებული 105000 ლარად.

აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2004 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრდა საქართველოს გენერალური პროკურატურის, ასევე გ. დ-ის, ჯ. გ-ისა და გ. დ-ის მიერ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2005 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილებით საქართველოს გენერალური პროკურატურისა და გ. დ-ის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; ჯ. გ-ისა და გ. დ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და

საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2004 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილება ჯ. გ-ისათვის ავტომანქანა უაზის (სახელმწიფო ნომრით ..., ღირებული 1500 ლარად), ქედის რაიონის სოფელ ... მშენებარე წვენების ქარხნის და გ. დ-ის სახელზე რიცხული 0,25ჰა მიწის ნაკვეთის (მდებარე ხელვაჩაურის რაიონის ...-ის მეურნეობის ტერიტორიაზე, ღირებული 5000 ლარად) ჩამორთმევასა და სახელმწიფოსათვის გადაცემის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; აჭარის ა/რ პროკურორის სარჩელი ჯ. გ-ისათვის ავტომანქანა უაზის (სახელმწიფო ნომრით ...), ქედის რაიონის სოფელ ... მშენებარე წვენების ქარხნისა და გ. დ-ის სახელზე რიცხული, ხელვაჩაურის რაიონის ...-ის მეურნეობის ტერიტორიაზე მდებარე 0,25ჰა მიწის ნაკვეთის ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემის ნაწილში არ დაკმაყოფილდა, დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

შუამდგომლობის ავტორთა მითითებით, უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევის მოთხოვნით სასამართლოსათვის მიმართვის უფლებას ითვალისწინებდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 37¹-ე მუხლი, რომელიც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს დაემატა „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ 2004 წლის 13 თებერვლის კანონით. მითითებული მუხლი ითვალისწინებდა მხოლოდ ბრალდებულის მიმართ ქონების ჩამორთმევის შესახებ მოთხოვნის დაყენების შესაძლებლობას. ჯ. გ-ი საჯარო სამსახურში მუშაობდა 1996 წლიდან 2004 წლის 13 იანვრამდე. შესაბამისად, მისი მუშაობის პერიოდში მოქმედი კანონმდებლობა ქონების ამ გზით ჩამორთმევას არ ითვალისწინებდა. ამასთან, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში 2007 წელს შეტანილი ცვლილებით, ჩამორთმევას დაექვემდებარა არა ბრალდებულის, არამედ მსჯავრდებულის ქონება. შესაბამისად, განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილების შედეგად, ბრალდებული პირი აღარ წარმოადგენდა დანაშაულის სუბიექტს. ჯ. გ-ი ქონების ჩამორთმევის დროისათვის არ იყო მსჯავრდებული, რის გამოც, განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებით უნდა გაუმჯობესებულიყო მისი სამართლებრივი მდგომარეობა.

შუამდგომლობის ავტორებმა აღნიშნეს, რომ მითითებული საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ მათთვის ცნობილი გახდა 2015 წლის 23 აპრილს.

ამდენად, შუამდგომლობის ავტორებმა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ და „ვ“ ქვე-

პუნქტების შესაბამისად მოითხოვეს აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2004 წლის 10 სექტემბრისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილებების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება. ამასთან, შუამდგომლობის ავტორებმა მიიჩნიეს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლის შესაბამისად, მათი შუამდგომლობა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2004 წლის 10 სექტემბრისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილებების გადასინჯვის თაობაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განსჯადი იყო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი შუამდგომლობის გაცნობის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გ. დ-ის, ჯ. გ-ისა და გ. დ-ის შუამდგომლობა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2004 წლის 10 სექტემბრისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილებების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ განსჯადობის წესების დაცვით, უნდა გადაეცეს უფლებამოსილ ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია, თუ არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადების წანამძღვრები. ამავე კოდექსის 424-ე მუხლის თანახმად, რომელიც განსაზღვრავს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადების განსჯადობის საკითხს, განცხადება შეტანილ უნდა იქნეს გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში, განცხადება გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს განსჯადია იმ შემ-

თხვევაშიც, თუ არსებობს ზემდგომი სასამართლოს განჩინება ამ გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ.

კონკრეტულ შემთხვევაში, გ. დ-ე, ჯ. გ-ი და გ. დ-ე ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2004 წლის 10 სექტემბრისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილებების გაუქმებას ითხოვენ. შუამდგომლობის ავტორთა მიზანს ჩამორთმეული ქონების დაბრუნება წარმოადგენს.

აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2004 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილებით აჭარის ა/რ პროკურორის სარჩელი მხოლოდ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, კერძოდ, მოსარჩელე – აჭარის ა/რ პროკურორს უარი ეთქვა ქედის რაიონის სოფელ ... არსებული საცხოვრებელი სახლისა და ერთი ჰექტარი საკარმიდამო მიწის ნაკვეთის ჩამორთმევაზე, ჯ. გ-ს დაეკისრა კომპენსაცია 3000 ლარის ოდენობით სახლის უკანონო და დაუსაბუთებელი შემოსავლებით გაუმჯობესებისათვის; მოსარჩელე აჭარის ა/რ პროკურორს უარი ეთქვა ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ... არსებული, ორსართულიანი საცხოვრებელი სახლისა და 0,07ჰა მიწის ნაკვეთის ჩამორთმევაზე, ჯ. გ-ს დაეკისრა კომპენსაცია 8000 ლარის ოდენობით სახლის უკანონო და დაუსაბუთებელი შემოსავლებით გაუმჯობესებისათვის.

დაუკმაყოფილებელ მოთხოვნათა ნაწილში აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2004 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრდა საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ, ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილებით საქართველოს გენერალური პროკურატურის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ამ ნაწილში უცვლელად დარჩა აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2004 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილება.

აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2004 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილებით აჭარის ა/რ პროკურორის სარჩელი დაკმაყოფილდა შემდეგი ქონების ჩამორთმევის ნაწილში: ჯ. გ-ს ჩამოერთვა და სახელმწიფოს გადაეცა: დასასვენებე-

ლი სახლი ხულოს რაიონის კურორტ ...; 0,11 ჰა მიწის ნაკვეთი სოფელ ...; ავტომანქანა უაზი სახელმწიფო ნომრით ...; მშენებარე წველების ქარხანა, მდებარე ქედის რაიონის სოფელ ...; ამავე გადაწყვეტილებით ჩამორთმევასა და სახელმწიფოსათვის გადაცემას დაექვემდებარა ჯ. გ-ის ოჯახის წევრის – გ. დ-ის სახელზე რიცხული 0,25 ჰა მიწის ნაკვეთი, მდებარე ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ..., მეურნეობის ტერიტორიაზე; ჯ. გ-ის ახლო ნათესავის – გ. დ-ის სახელზე რიცხული მშენებარე საცხოვრებელი სახლი არასაცხოვრებელი კომერციული ფართით, მდებარე ქ. ბათუმში, ... ქ. 33-ში. მითითებულ ნაწილში აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2004 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს გ. დ-ემ, ჯ. გ-მა და გ. დ-ემ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილებით გ. დ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, შესაბამისად, გ. დ-ისათვის ქ. ბათუმში, ... ქ. 33-ში მდებარე მშენებარე საცხოვრებელი სახლისა და არასაცხოვრებელი კომერციული ფართის ჩამორთმევის ნაწილში უცვლელად დარჩა აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილება, ხოლო ჯ. გ-ისა და გ. დ-ის საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2004 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილება ჯ. გ-ისათვის ავტომანქანა უაზის (სახელმწიფო ნომრით ...), ქედის რაიონის სოფელ ... მშენებარე წველების ქარხნისა და გ. დ-ის სახელზე რიცხული 0,25 ჰა მიწის ნაკვეთის (მდებარე ხელვაჩაურის რაიონის ...-ის მეურნეობის ტერიტორიაზე) ჩამორთმევასა და სახელმწიფოსათვის გადაცემის ნაწილში და ამ ნაწილში აჭარის ა/რ პროკურორის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ გ. დ-ის, ჯ. გ-ისა და გ. დ-ის მოთხოვნა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ ვერ იქნება უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილების გაუქმება, რამდენადაც საკასაციო სასამართლოს მითითებული გადაწყვეტილებით პროკურატურის სარჩელი არ დაკმაყოფილებულა არც ერთი მოთხოვნის ნაწილში, საკასაციო სასამართლომ უცვლელად დატოვა აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილება შუამდგომლობის

ავტორთათვის გარკვეული ქონების ჩამორთმევის ნაწილში. საკასაციო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა ფიზიკურ პირთა მოთხოვნა და საქართველოს გენერალური პროკურატურის რიგი სასარჩელო მოთხოვნები არ დააკმაყოფილა.

ამდენად, პროკურატურის დაკმაყოფილებულ მოთხოვნათა (გ. დ-ის, ჯ. გ-ისა და გ. დ-ის ქონების ჩამორთმევის) ნაწილში, რომლის გაუქმებასაც ითხოვენ შუამდგომლობის ავტორები, ზემდგომი ინსტანციის – საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით უცვლელადაა დატოვებული აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოთხოვნა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილია განსჯადობის წესების დარღვევით. მიუხედავად იმისა, რომ შუამდგომლობის ავტორთა მოთხოვნა ეხება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილების გაუქმებასაც, გ. დ-ის, ჯ. გ-ისა და გ. დ-ის მოთხოვნა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შესაძლოა ეხებოდეს მხოლოდ აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებას. სსსკ-ის 424-ე მუხლის მოთხოვნის თანახმად, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ გ. დ-ის, ჯ. გ-ისა და გ. დ-ის მოთხოვნის განხილვის საპროცესო კომპეტენცია საკასაციო სასამართლოს არ გააჩნია.

ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს 1997 წლის 13 ივნისის ორგანულ კანონში 2005 წლის 23 ივნისის №1734-რს და 2005 წლის 25 ნოემბრის №2125-IIIს ორგანული კანონებით შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, ლიკვიდირებულ იქნა აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლო, ხოლო პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვა მხოლოდ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოთა იურისდიქციას დაექვემდებარა.

გარდა აღნიშნულისა, საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ თანამდებობის პირთა უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემასთან დაკავშირებით დავები განიხილებოდა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, ხოლო საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში 2007 წლის 4 ივლისის №5198 – რს კანონით განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, მი-

თითებუი დავების განხილვის უფლებამოსილება ადმინისტრაციულ სასამართლოებს აღარ აქვთ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, ისინი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვას დაექვემდებარა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გ. დ-ის, ჯ. გ-ისა და გ. დ-ის შუამდგომლობა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.2 მუხლისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის 1-ლი ნაწილი შესაბამისად, განსჯადობის წესების დაცვით უნდა გადაეცეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველად, რომელიც უფლებამოსილია იმსჯელოს მოთხოვნის დასაშვებობა-სა და საფუძვლიანობაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, 26.2, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 421-ე, 424-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. გ. დ-ის, ჯ. გ-ისა და გ. დ-ის შუამდგომლობა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2004 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ განსჯადობის წესების დაცვით გადაეცეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველად;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საკიეპელი

1. ადმინისტრაციული განსჯადობა 3; 14; 21; 29
2. ტერიტორიული განსჯადობა 37; 44; 53; 58; 67; 74; 80; 89; 103
3. გადანყვეტილების განმარტების თაობაზე
განცხადების განხილვის განსჯადობა 111; 114
4. ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების
განახლებაზე განცხადების განსჯადობა 118; 122; 125

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32
ტელ.: (995 32) 298 21 03
www.supremecourt.ge